

სს „ევექსი ჰოსპიტლები“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	28
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	29
6. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები.....	29
7. მარაგები.....	29
8. ძირითადი საშუალებები.....	30
9. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები.....	31
10. გადასახადები.....	32
11. ნასესხები სახსრები.....	32
12. სავაჭრო ვალდებულებები.....	32
13. იჯარა.....	33
14. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები.....	33
15. პირობითი ვალდებულებები.....	34
16. საკუთარი კაპიტალი.....	35
17. ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან.....	35
18. ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები.....	36
19. სხვა საოპერაციო შემოსავალი.....	36
20. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	36
21. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	37
22. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება.....	37
23. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	37
24. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი.....	38
25. წმინდა არარეგულარული (ხარჯი) / შემოსავალი.....	38
26. აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება.....	39
27. კაპიტალის მართვა და ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში.....	39
28. რისკის მართვა.....	40
29. სამართლიანი ღირებულების შეფასება.....	50
30. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	53
31. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	54



**Building a better
working world**

შპს იუაი
საქართველო, 0105, თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

EY LLC
44 Kote Abkhazi street
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ევექსი ჰოსპიტლების“ აქციონერსა და სამეთვალყურეო საბჭოს

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ევექსი ჰოსპიტლების“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.



Building a better working world

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხებად მიიჩნევა ისეთი საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ. ქვემოთ თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩატარებული აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რომელთა მიზანიც იყო რეაგირება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების ჩვენ მიერ შეფასებულ რისკებზე. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტის ძირითადი საკითხები	როგორ მივუდექით აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
-----------------------------------	---

ამონაგების აღიარება

ამონაგები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის და მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელზე დაყრდნობითაც ჯგუფი აფასებს თავის შედეგებს და ახდენს ხელმძღვანელი პირების წახალისებას. ჯანდაცვის მომსახურებიდან ამონაგების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამაზე, სადაც ამონაგების აღიარება საჭიროებს მთავრობის მხრიდან მომსახურების მიღებას.

გავერკვიეთ ამონაგების სხვადასხვა ნაკადში და შევაფასეთ ამონაგების აღიარების ციკლის შესაბამისი დანერგილი კონტროლები.

შევსწავლეთ გამოწერილი ინვოისები, რომლებიც 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ჯერ არ დამტკიცებულა მთავრობის მიერ და შევაფასეთ მათი შემდგომი ანგარიშსწორება.

გავაანალიზეთ თანმხლები ინვოისები და პერიოდი, რომელშიც ამონაგების აღიარება მოხდა, შევადარეთ იმ პერიოდს, როდესაც ფაქტობრივად გაიწია მომსახურება.

ზემოაღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით, მიგვაჩნია, რომ ამონაგების აღიარება ჩვენი აუდიტისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო.

საბუღალტრო სისტემაში აღიარებული ამონაგების თანხები შევადარეთ შესაბამის პირველად დოკუმენტებს.



Building a better working world

აუდიტის ძირითადი საკითხები	როგორ მივუდევით აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
<p>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-17 შენიშვნაში ასახულია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების შესახებ.</p>	<p>გავანალიზეთ თვიური მერყეობა და ამონაგები შევადარეთ წინა წლების თანხებსა და ტენდენციებს.</p> <p>შევაფასეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული განმარტებები.</p>
<p>გუდვილის გაუფასურების ტესტირება</p>	
<p>ჯგუფს გუდვილის საკმარისი ოდენობა აქვს, რომლის გაუფასურება გამოითვლება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. სამომავლო ფულადი ნაკადების და მათი დისკონტირების განაკვეთის პროგნოზირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს განსჯა.</p>	<p>ჩვენ შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენების ღირებულების დადგენის მეთოდოლოგია.</p>
<p>შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი ჩვენი აუდიტისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.</p>	<p>გავანალიზეთ ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები და გამოთვლებში მონაწილე ფულადი ნაკადები შევადარეთ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სამწლიან სტრატეგიულ გეგმას.</p>
<p>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-9 შენიშვნაში ასახულია გუდვილის გაუფასურების ტესტირებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები.</p>	<p>გავანალიზეთ მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგნოზები, შევადარეთ ისტორიულ მაჩვენებლებს და გარე საბაზრო მონაცემებს.</p> <p>გუდვილის გაუფასურების ტესტირების მოდელში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის შეფასებაში ჩავრთეთ ჩვენი შეფასების შიდა სპეციალისტები.</p> <p>განვიხილეთ გაუფასურების ტესტირების ჩატარების თარიღის შემდეგ დამდგარი მოვლენები და გარემოებები. მასში შევიდა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი და საქართველოში ჯანდაცვის ბაზრის სამომავლო პროგნოზები.</p>
	<p>შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული მგრძობელობის ანალიზი და ჩავატარეთ ზემოაღნიშნული თითოეული დაშვების ინდივიდუალური და ერთობლივი სტრეს-ტესტები.</p>
	<p>შევაფასეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული განმარტებები.</p>



**Building a better
working world**

ჯგუფის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს, ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.



**Building a better
working world**

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.



**Building a better
working world**

- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მას ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ გავლენას ახდენს ჩვენს დამოუკიდებლობაზე, ასევე გამოყენებული საფრთხის აღმოსაფხვრელად განხორციელებული ქმედებების ან დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

სამეთვალყურეო საბჭოსთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.



**Building a better
working world**

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია რუსლან ხოროშვილი.

რუსლან ხოროშვილი (SARAS-A-615243)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2023 წლის 10 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	20,286	33,493
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	6	85,841	93,975
მარაგები	7	18,932	23,869
გადახდილი ავანსები		6,477	4,824
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები		143	423
ძირითადი საშუალებები	8	389,685	404,755
აქტივის გამოყენების უფლება	13	3,988	2,435
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	9	40,583	44,102
სხვა აქტივები		10,608	12,267
სულ აქტივები		576,543	620,143
ვალდებულებები			
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები		21,984	24,476
სავაჭრო ვალდებულებები	12	14,943	33,345
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		–	164
საიჯარო ვალდებულებები	13	3,853	2,817
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები		389	389
ნასესხები სახსრები	11	156,557	101,573
გამომშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	14	51,078	113,920
სხვა ვალდებულებები		6,040	5,570
სულ ვალდებულებები		254,844	282,254
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	16	47,828	47,828
დამატებით შეტანილი კაპიტალი	16	177,438	175,504
სხვა რეზერვები	16	(14,604)	(14,604)
გაუნაწილებელი მოგება		79,327	100,719
კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი საკუთარი კაპიტალი		289,989	309,447
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები ¹		31,710	28,442
სულ საკუთარი კაპიტალი		321,699	337,889
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		576,543	620,143

5–54 გვერდებზე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია სს „ევექსი ჰოსპიტლები“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2023 წლის 10 ოქტომბერს და სამეთვალყურეო საბჭოს სახელით მას ხელს აწერენ შემდეგი პირები:

გიორგი ვასაძე

ფინანსური დირექტორი

2023 წლის 10 ოქტომბერი

¹ თანხა მთლიანად მიკუთვნება შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის“ უმცირესობის წილის მფლობელებისთვის.

5–54 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	20,286	33,493
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	6	85,841	93,975
მარაგები	7	18,932	23,869
გადახდილი ავანსები		6,477	4,824
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები		143	423
ძირითადი საშუალებები	8	389,685	404,755
აქტივის გამოყენების უფლება	13	3,988	2,435
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	9	40,583	44,102
სხვა აქტივები		10,608	12,267
სულ აქტივები		576,543	620,143
ვალდებულებები			
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები		21,984	24,476
სავაჭრო ვალდებულებები	12	14,943	33,345
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		–	164
საიჯარო ვალდებულებები	13	3,853	2,817
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები		389	389
ნასესხები სახსრები	11	156,557	101,573
გამომშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	14	51,078	113,920
სხვა ვალდებულებები		6,040	5,570
სულ ვალდებულებები		254,844	282,254
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	16	47,828	47,828
დამატებით შეტანილი კაპიტალი	16	177,438	175,504
სხვა რეზერვები	16	(14,604)	(14,604)
გაუნაწილებელი მოგება		79,327	100,719
კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი საკუთარი კაპიტალი		289,989	309,447
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები ¹		31,710	28,442
სულ საკუთარი კაპიტალი		321,699	337,889
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		576,543	620,143

5–54 გვერდებზე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია სს „ევექსი ჰოსპიტლები“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2023 წლის 10 ოქტომბერს და სამეთვალყურეო საბჭოს სახელით მას ხელს აწერენ შემდეგი პირები:

გიორგი ვასაძე

ფინანსური დირექტორი

2023 წლის 10 ოქტომბერი

¹ თანხა მთლიანად მიკუთვნება შპს ჰეასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის ჰუმანიტარული წილის მფლობელებისთვის.

5–54 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	17	288,745	318,349
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	18	(183,858)	(195,358)
საერთო მოგება		104,887	122,991
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19	9,100	3,574
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	20	(32,111)	(28,227)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(13,954)	(10,319)
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	22	(4,863)	(4,150)
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(7,244)	(3,505)
		(58,172)	(46,201)
EBITDA		55,815	80,364
ცვეთა და ამორტიზაცია	13, 8, 9	(30,365)	(26,579)
საპროცენტო შემოსავალი	24	1,143	2,784
საპროცენტო ხარჯი	24	(23,952)	(24,948)
წმინდა შემოსულობა უცხოური ვალუტიდან და სავალუტო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება		1,272	62
ზარალი „ტრავმატოლოგიური ჰოსპიტლის“ გაყიდვიდან	1	(2,044)	-
სხვა მისაღები ანგარიშების ჩამოწერა	28	(3,012)	-
წმინდა არარეგულარული ხარჯი	25	(1,981)	(2,841)
(ზარალი) მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		(3,124)	28,842
მოგების გადასახადის ხარჯი	3	-	-
წლის (ზარალი) მოგება და მთლიანი სრული (ზარალი) შემოსავალი		(3,124)	28,842
წლის (ზარალი) მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მიკუთვნება:			
- კომპანიის აქციონერებისთვის		(6,392)	25,430
- არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის		3,268	3,412

5-54 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	განკუთვნილი კომპანიის აქციონერებისთვის				სულ	არამაკონ- ტროლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
		სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილე- ბელი მოგება			
31 დეკემბერი, 2020 წ.		47,828	174,524	(14,604)	99,289	307,037	25,030	332,067
წლის წმინდა მოგება		-	-	-	25,430	25,430	3,412	28,842
მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	-	25,430	25,430	3,412	28,842
მშობელ საწარმოზე გაცემული დივიდენდები	16	-	-	-	(24,000)	(24,000)	-	(24,000)
საკუთარი აქციების გამოსყიდვა აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება		-	(457)	-	-	(457)	-	(457)
	26	-	1,437	-	-	1,437	-	1,437
31 დეკემბერი, 2021 წ.		47,828	175,504	(14,604)	100,719	309,447	28,442	337,889
წლის (ზარალი) მოგება		-	-	-	(6,392)	(6,392)	3,268	(3,124)
მთლიანი სრული (ზარალი) შემოსავალი		-	-	-	(6,392)	(6,392)	3,268	(3,124)
გამოცხადებული დივიდენდები	16	-	-	-	(15,000)	(15,000)	-	(15,000)
საკუთარი აქციების გამოსყიდვა აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება		-	(478)	-	-	(478)	-	(478)
	26	-	2,412	-	-	2,412	-	2,412
31 დეკემბერი, 2022 წ.		47,828	177,438	(14,604)	79,327	289,989	31,710	321,699

5-54 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული ამონაგები		291,413	309,419
ჯანდაცვის მომსახურების გადახდილი თვითღირებულება		(196,732)	(198,998)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(32,044)	(27,589)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(17,973)	(14,101)
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		1,228	-
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(4,308)	(3,078)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		41,584	65,653
მოგების გადახდილი გადასახადი		(201)	(223)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		41,383	65,430
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვები		(18,859)	(16,140)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(6,188)	(5,082)
გაცემული სესხის დაფარვა		500	7,639
მიღებული პროცენტი		1,422	4,593
შემოსულობა ტრავმატოლოგიური ჰოსპიტლის გასვლის შედეგად	1	8,347	-
სხვა საინვესტიციო საქმიანობა		2,850	3,428
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(11,928)	(5,562)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
გადახდილი დივიდენდი	16	(14,863)	(24,000)
აღებული სესხები	27	134,570	71,000
ნასესხები სახსრების და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა	27	(134,949)	(114,316)
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდა		(558)	(742)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის გადახდა		(225)	(179)
გადახდილი პროცენტი	27	(25,408)	(23,161)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(41,433)	(91,398)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,229)	(1,895)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება		(13,207)	(33,425)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		33,493	66,918
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	5	20,286	33,493

5-54 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ევექსი ჰოსპიტლები“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2014 წლის 1 აგვისტოს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება (რეგისტრაციის ნომერი 404476205). კომპანიის იურიდიული მისამართია: ა. ბელიაშვილის ქ. 142, თბილისი, საქართველო. კომპანია და მისი შვილობილი საწარმოები ქვემოთ ერთად იწოდება „ჯგუფად“ ან „ევექსად“. ჯგუფი სამედიცინო მომსახურებას უწევს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომხმარებლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული საავადმყოფოების ქსელის მეშვეობით.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ევექსს აკონტროლებდა სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“). კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების საბოლოო მშობელი საწარმო იყო ინგლისში, ლონდონში, დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“. „საქართველოს კაპიტალის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია: ინგლისი, W1K 5EH, ლონდონი, ბრუკ სთრითი #84. „საქართველოს კაპიტალის“ რეგისტრაციის ნომერია 10852406.

2022 წლის აპრილში ჯგუფმა გაყიდა ტრანსპარტოლოგიური საავადმყოფო, რომელიც წარმოადგენდა კომპანიის ცალკე ბიზნესერთეულს (და არა ცალკე იურიდიულ პირს) 8,864 ლარის ოდენობით (2.9 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი) და აღიარა გასვლის შედეგად შესაბამისი ზარალი 2,044 ლარის ოდენობით. ქვემოთ წარმოდგენილია გასხვისებული შვილობილი საწარმოს აქტივების მთავარი კატეგორიები:

ძირითადი საშუალებები	10,588
მარაგები	101
სხვა აქტივები	219
სულ აქტივები	10,908
გასხვისებული წმინდა აქტივები	10,908

ჯგუფი მოიცავს საქართველოში დაფუძნებულ შემდეგ შვილობილ და მეკავშირე კომპანიებს:

	წილობრივი მონაწილეობა / ხმის უფლება		საქმია-ნობის სფერო	დაფუძნების თარიღი	შემქნის თარიღი	იურიდიული მისამართი
	31-დეკ-2022	31-დეკ-2021				
შვილობილი საწარმოები						
შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრი“	99.8%	99.8%	ჯანდაცვა	12-იანვ.-12	30-ივნ.-15	ქეთარაძის ქ. 23, თბილისი, საქართველო
შპს „ევექს-ლოჯისტიკა“	100%	100%	ჯანდაცვა	13-თებ.-15	არა	ვაჟა-ფშაველას გამზ. 40, თბილისი, საქართველო
სს „ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი“	67%	67%	ჯანდაცვა	5-მაის.-03	29-ნოემბ.-11	ჯავახიშვილის ქ. 85, ქუთაისი, საქართველო
შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“	67%	67%	ჯანდაცვა	15-ოქტ.-04	29-ნოემბ.-11	ა. ჯავახიშვილის ქ. 83ა, ქუთაისი, საქართველო
ა(ა)იპ „ევექსის სასწავლო ცენტრი“	100%	100%	სხვა	20-დეკ.-13	20-დეკ.-13	ჯავახიშვილის ქ. 83ა, თბილისი, საქართველო
სს „ემერჯენსი სერვისი“	85%	85%	ჯანდაცვა	18-ივნ.-13	1-მარტ.-15	უ. ჩხეიძის ქ. 10, თბილისი, საქართველო
სს „პედიატრი“	100%	100%	ჯანდაცვა	5-სექტ.-03	6-ივლ.-16	უ. ჩხეიძის ქ. 10, თბილისი, საქართველო
შპს „ახალი კლინიკა“	100%	100%	ჯანდაცვა	3-იანვ.-17	20-ივლ.-17	ვაჟა-ფშაველას გამზ. 40, თბილისი, საქართველო
ა(ა)იპ „სისხლის ცენტრი“	100%	100%	ჯანდაცვა	23-დეკ-21	არა	ა. ჯავახიშვილის ქ. 83ა, ქუთაისი, საქართველო
მეკავშირე საწარმოები						
ა(ა)იპ „ჯანდაცვის ასოციაცია“	25%	25%	ჯანდაცვა	25-მარტ-16	არა	ვაჟა-ფშაველას გამზ. 27ბ, თბილისი, საქართველო
ააიპ „საქართველოს სამედიცინო ტურიზმის საბჭო“	28.6%	28.6%	ჯანდაცვა	25-მარტ-16	არა	კორპ. N10, N13ბ, 1-2 სართული, ნუშის ბაღების ქ. #1, წყნეთი, ვაკის რაიონი, თბილისი
შპს „კომპლექს-მედ-სერვისი“	20%	20%	ჯანდაცვა	18-ნოემბ-08	30-ივლ-21	წინანდლის ქ. #9, თბილისი, საქართველო

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

კოვიდ-19-ის გავლენა

კოვიდ-19-თან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა და ჩაკეტვებმა უდიდესი გავლენა მოახდინა ჯანდაცვის სექტორში, ზოგადად, რამაც გამოიწვია გეგმიური მკურნალობისთვის სტაციონარული პაციენტების ვიზიტების რაოდენობის შემცირება ჯანდაცვის ობიექტებში პანდემიის პირველი ტალღის დროს, რომელიც 2020 წლის აპრილ-მაისში გაგრძელდა. ამის მიუხედავად, 2020 წლის მეორე ნახევარში ტენდენცია თანდათანობით შემობრუნდა 2020 წლის სექტემბრიდან დაწყებული მეორე ტალღის მიუხედავად, უტილიზაციის მაჩვენებელი გაუმჯობესდა „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ იმ საავადმყოფოებში, რომლებიც კოვიდიან პაციენტებს არ ემსახურებოდა და ვიზიტების რაოდენობა კლინიკებშიც გაიზარდა. ეს ტენდენცია 2021 წელს და 2022 წლის პირველ კვარტალშიც გაგრძელდა. 2022 წლის მარტში ქვეყანაში კოვიდშემთხვევების რაოდენობის შემცირების გამო, საქართველოს მთავრობამ შეწყვიტა ჯანდაცვის ობიექტებთან კოვიდის მკურნალობის თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმება. კოვიდსაავადმყოფოების და კლინიკების ჩვეულ საოპერაციო დონეზე რესტრუქტურირებამ და კოვიდის ხარჯების განაწილების სტრუქტურიდან ეტაპობრივად გამოსვლამ დროებით შეამჩიძროვა კომპანიის მარჟები 2022 წლის მეორე კვარტალში.

ომი უკრაინაში

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად მერყეობს, ასევე დაეცა რუსეთში ფასიანი ქაღალდების ღირებულება. იგივე შეეხო სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ფასიან ქაღალდებსაც. სიტუაცია ჯერ კიდევ იცვლება, მაგრამ ჰუმანიტარული კრიზისი უკვე დამდგარია და უკრაინამ, რუსეთმა და დანარჩენმა მსოფლიომ უკვე განიცადეს უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს არსებითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე; მაგალითად, 2022 წლის განმავლობაში ქართული ლარი მნიშვნელოვნად გამყარდა უცხოურ ვალუტებთან მიმართებით, რისი ერთ-ერთი მიზეზიც, სხვებთან ერთად, იყო საქართველოში შემოსული რუსი და უკრაინელი მოქალაქეების მხრიდან უცხოურ ვალუტაში გადარიცხვების მნიშვნელოვანი ზრდა. ვინაიდან ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, რთულია ბანკის საქმიანობაზე მისი საბოლოო გავლენის სარწმუნოდ შეფასება, რადგან გაურკვეველია ეკონომიკაზე მისი გავლენის მასშტაბი. კომპანიის ხელმძღვანელობა შექმნილ ვითარებაში ეკონომიკურ სიტუაციას თვალს ადევნებს.

არსებითი წილები შვილობილი საწარმოების საკუთრებაში

შემდეგ შვილობილ საწარმოს აქვს არსებითი არამაკონტროლებელი წილი:

	2022		2021	
	არამაკონტრო- არამაკონტრო- ლებელი წილის მფლობელების- განაწილებული მოგება წლის განმავლობაში	არამაკონტრო- ლებელი წილის მფლობელების- თვის გადახდილი დივიდენდები წლის განმავლობაში	არამაკონტრო- ლებელი წილის მფლობელებზე განაწილებული მოგება წლის განმავლობაში	არამაკონტრო- ლებელი წილის მფლობელების- თვის გადახდილი დივიდენდები წლის განმავლობაში
სს „დასავლეთ საქართველო ს სამედიცინო ცენტრი“	33	3,263	-	3,299

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

არსებითი წილები შვილობილი საწარმოების საკუთრებაში (გაგრძელება)

სს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის“ დაგროვილი არამაკონტროლებელი წილის ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის 32,801 ლარი (2021 წ.: 29,538 ლარი) იყო.

ქვემოთ მოცემულია ამ შვილობილი საწარმოების შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია. ეს ინფორმაცია ეყრდნობა თანხებს შიდაჯგუფურ გაქვითვებამდე.

სს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“	2022	2021
სულ აქტივები	89,123	75,555
სულ ვალდებულებები	7,389	3,827
საკუთარი კაპიტალი	81,734	71,728
სს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“	2022	2021
ამონაგები	39,260	37,086
წლის სრული შემოსავალი	9,887	9,996
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	1,880	(4,214)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,086)	4,180
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	-	(62)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(206)	(96)

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით. გამონაკლისს წარმოადგენს საინვესტიციო ქონება და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ საგანგებოდ არ არის სხვა რამე მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსები, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ევექსი ჰოსპიტლებისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს ან აქვს უფლება მიიღოს, ცვლადი უკუგება ინვესტირებული საწარმოსგან და აქვს უნარი, გავლენა მოახდინოს უკუგებაზე ინვესტირებულ საწარმოზე ზემოქმედებით. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტირებული საწარმოს რელევანტური საქმიანობა);
- ▶ ინვესტირებულ საწარმოში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტირებულ საწარმოზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტირებულ საწარმოში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტირებულ საწარმოზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა რელევანტურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ ინვესტირებულ საწარმოში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგებები;
- ▶ სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის აქციონერებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არამაკონტროლებელი წილის ბალანსის დეფიციტს იწვევს.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად ელიმინირდება.

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდით. შესყიდვის ღირებულება გამოითვლება შემდეგი კომპონენტების დაჯგუფებით: შესყიდვის დღეს სამართლიანი ღირებულებით გადახდილი საფასური და შეძენილი კომპანიის ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის მოცულობა. საწარმოთა გაერთიანების თითოეულ შემთხვევაში, ჯგუფი შეძენილი კომპანიის არამაკონტროლებელ წილს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ან იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის შესაბამისად, ხოლო არამაკონტროლებელი წილის სხვა კომპონენტებს – მათი შეძენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით. შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

გუდვილის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს თანხას, რომლითაც არამაკონტროლებელი წილისთვის გადაცემული საზღაურისა და მისი აღიარებული ოდენობის, ასევე მანამდე ფლობილი წილის ჯამი მეტია წმინდა შეძენილ იდენტიფიცირებად აქტივებსა და ნაკისრ ვალდებულებებზე. თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მეტია მთლიანად გადახდილ ანაზღაურებაზე, ჯგუფი ხელახლა აფასებს, სწორად ამოიწყო თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ნაკისრი ვალდებულება და გადასინჯავს შეძენის თარიღისთვის ასაღიარებელი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პროცედურებს. თუ ხელახალი შეფასების შედეგად წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მაინც გადააჭარბებს მთლიანად გადახდილ საზღაურს, მაშინ ხდება შემოსულობის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც ჯგუფი შეისყიდის ბიზნესს, კლასიფიკაციის მიზნებისთვის აფასებს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შესყიდვის თარიღისათვის არსებული სახელშეკრულებო ვალდებულებების, ეკონომიკური გარემოებებისა და რელევანტური პირობების შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს შესყიდული საწარმოს მიერ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას ძირითად ხელშეკრულებებში.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას მყიდველი საწარმოს მიერ, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისათვის პირობითი ანაზღაურება, კლასიფიცირებული აქტივად ან ვალდებულებად, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და, ფასს 9-ის მიხედვით, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სამართლიან ღირებულებაში შემდგომი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში თუ პირობითი ანაზღაურება არ შეესაბამება ფასს 9-ს, იგი ფასდება შესაბამისი ფასს-ის მიხედვით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან, მიმდინარე ანგარიშებისგან და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებისაგან, რომლებსაც აქვს განთავსებიდან სამი თვის ვადა, რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად, აქვს ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და თავისუფალია სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის. ამის შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ჯანდაცვიდან მისაღები ანგარიშების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ გარკვეული მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურების ზარალი აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში. სახელმწიფოსგან მისაღები ანგარიშების გადახდის ვადას წარმოადგენს 30 დღე ანგარიშფაქტურების დამტკიცების მომენტიდან. საქართველოს კანონმდებლობით, ანგარიშფაქტურის გადახედვისა და დამტკიცების პროცესს დაახლოებით 60 სამუშაო დღე სჭირდება. გადახდის ვადებზე მოლაპარაკება მხარეებთან, სახელმწიფოს გარდა, ცალ-ცალკე ხდება და 30-180 კალენდარულ დღეს შეადგენს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად ან როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად, რომელიც უფრო მართებულია. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი საწყისი აღიარებისას.

ინვესტიციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი შეძენის ან წარმოშობის მიზანზე.

ესეხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამ ინვესტიციების აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს ინვესტიციის შესაძენად გადახდილი საზღაურის სამართლიან ღირებულებას. ინვესტიციის თვითღირებულებაში შედის მის შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა გარიგების დანახარჯი. საწყისი აღიარების შემდეგ ინვესტიციები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების განაგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკის სამართავად ჯგუფი იყენებს სავალუტო ოფციონებს და ფორვარდულ კონტრაქტებს. ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება აქტივებად, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და ვალდებულებებად, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული კონტრაქტებიდან გამომდინარე შემოსულობა და ზარალი აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობის / (ზარალის) ნაწილში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული

ჯგუფი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან კოლექტიურად აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიურად შეფასების პროცესში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები (გაგრძელება)

თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი გაუქმების აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას გაუქმების თარიღისთვის. უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არც გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება ამ აქტივში შენარჩუნებული მონაწილეობის პირობით. შენარჩუნებული მონაწილეობა, რომელსაც აქვს ერთგვარი გარანტიის ფორმა გადაცემულ აქტივზე, რომელიც ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი. შემოსავლისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა მოგებაში ან ზარალში არ მოხდება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. ჯგუფს არ მოუხდენია თავისი აქტივებისა და ვალდებულებები, ან შემოსავლისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება

საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფი გადააფასებს თავის წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 29-ე შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე, ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. ძირითადი საშუალებების თვითღირებულებით აღრიცხული კლასების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებით, როდესაც გარკვეული მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები იმაზე მიაჩვენებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წლები
საოფისე შენობები	100
საავადმყოფოები და კლინიკები	100
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	10
ავეჯი და მოწყობილობები	5–10
სამედიცინო აღჭურვილობა	5–10
კომპიუტერები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც წმინდა გასვლის ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები, რომლებიც საჭიროა ხელმძღვანელობის მიერ აქტივის მიზნობრივი დანიშნულებით გამოსაყენებლად საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება მაშინ, როდესაც აქტივები ექსპლუატაციისთვის მზად არის.

საიჯარო ქონების გაუმჯობესებების ცვეთა ხდება ათი წლის განმავლობაში ან შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი უფრო ხანმოკლეა. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

ჰეჯირების აღრიცხვა

ჯგუფმა ფასს 9-ის თანახმად გამოიყენა სამართლიანი ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვა თავისი ძირითადი საშუალებებიდან ორი აქტივის უცხოური ვალუტის კომპონენტისთვის. ლარში უძრავი ქონების ფასებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ აშშ დოლარის-ლარის სავალუტო კურსს შორის მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულების გამო, იმ დაშვებით, რომ სხვა ფაქტორები მუდმივია, ჯგუფმა მიიჩნია აშშ დოლარში გამოხატული ნასესხები სახსრები ჰეჯირების ინსტრუმენტებად, ხოლო ძირითადი საშუალებების ფასის ცვლილების უცხოური ვალუტის კომპონენტები – ჰეჯირებულ მუხლად. ჯგუფი აგრძელებს ჰეჯირების ეფექტურობის შეფასებას ყოველკვარტალურად.

თუ ჰეჯირების ეფექტურობის პირობები შენარჩუნდება და ჰეჯირება ეფექტური აღმოჩნდება, ჰეჯირებული უძრავი ქონების ღირებულებაში აშშ დოლარის სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული ყოველგვარი ზრდა (შემცირება) გაიქვითება აშშ დოლარში გამოხატული ნასესხები სახსრების ეკვივალენტური ზრდით (შემცირებით). თუ ჰეჯირება ნაწილობრივ არაეფექტური აღმოჩნდება, ამ თანხებს შორის სხვაობის წმინდა ოდენობის აღიარება მოხდება მოგებაში ან ზარალში, უცხოური ვალუტიდან მიღებულ წმინდა (ზარალში)/შემოსულობაში. ამ უკანასკნელი სხვაობის აღიარებას ზოგადად ჰეჯირების არაეფექტურობის შეფასებას უწოდებენ. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰეჯირების ინსტრუმენტებად მიჩნეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება გაუტოლდა 11,929 ლარს (2021 წ.: 13,676 ლარი).

მარაგები

მარაგები მოიცავს სამედიცინო და არასამედიცინო მარაგებს და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს მარაგების შექმნაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. საწყისი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ ვალუტაში მიღებული სესხებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების კორექტირებად.

ისეთი აქტივის შემენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივის ღირებულების ნაწილი. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება წლის ხარჯად. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც საწარმო გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის საწყისი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღრიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღრიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის წელს იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან ამოქმედდა ანგარიშგების დღეს. გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ საწარმოებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის გაუქმების დრო და ახლო მომავალში მათი გაუქმება არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები (გაგრძელება)

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება იმ პარტნიორებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალოს 2008–2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი საწყისი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. საწყისი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ოთხიდან ათ წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწვევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯების (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარება არამატერიალურ აქტივად მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ჯგუფს აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, აგრეთვე აქტივს შეეძლოს მომავალში ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით, ასევე უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღირიცხვა მათი გაწვევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

თუ ჯგუფი მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, ანაზღაურების აღიარება ხდება აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მიღება ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების გარიგებები

ჯგუფის წამყვანი ხელმძღვანელობა იღებს აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, რა შემთხვევაშიც თანამშრომლები მომსახურებას სწევენ სს „ევექსი ჰოსპიტლების“ წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ. აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების სქემა წარმოდგენილია წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გადახდის გარიგებებით.

საკუთარი კაპიტალი

ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით განხორციელებული ოპერაციების ხარჯი ფასდება ოპერაციის თარიღისთვის გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების ღირებულების აღიარება, დამატებით შეტანილი კაპიტალის შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში “უფლების გადაცემის თარიღი”). უფლების გადაცემის თარიღამდე ანგარიშგების ყოველი თარიღით აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით განხორციელებული ოპერაციების მთლიანი ხარჯი ასახავს უფლების გადაცემის პერიოდის გასვლას და ჯგუფის შეფასებით წილობრივი ინსტრუმენტების იმ რაოდენობას, რა რაოდენობაზეც საბოლოოდ გადაიცემა უფლება. კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის დანარიცხი მოცემული პერიოდისთვის წარმოადგენს ამ პერიოდის დასაწყისში და დასასრულს აღიარებული მთლიანი ხარჯების მოძრაობას.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია საკუთარი კაპიტალის შემოსულობიდან გამოქვითვების სახით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

ჯგუფის მიერ კლიენტებისთვის გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს ჯგუფისგან მიღებულ სარგებელს. ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული ამონაგები მოიცავს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიან ღირებულებას, და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ▶ ჯანდაცვის მომსახურების ამონაგები სახელმწიფოსგან – ჯგუფი სახელმწიფო პროგრამით დაზღვეული პირებისგან მიღებულ ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაჰენტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.
- ▶ ჯანდაცვის მომსახურების ამონაგები სადაზღვევო კომპანიებისგან – ჯგუფი სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვეული პირებისგან მიღებულ ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაჰენტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.
- ▶ ჯანდაცვის მომსახურებიდან თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა ამონაგები – ჯგუფი თანაგადახდიდან მიღებულ და სხვა ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და ჯგუფის მიერ დამტკიცებული ფასების შესაბამისად. გაყიდვებიდან შემოსავალი მიიღება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათით. სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული სხვა ამონაგები მოიცავს ამონაგებს მუნციპალიტეტებიდან და სხვა საავადმყოფოებიდან, რომლებთანაც ჯგუფს სახელშეკრულებო ურთიერთობა აქვს. მომსახურების გაყიდვის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც გაიწია მომსახურება და ანგარიშება სახელშეკრულებო ტარიფების მიხედვით.

ამონაგები წარმოდგენილია კორექტირებების და ფასდაკლებების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც კონტრაჰენტებთან (ძირითადად, სახელმწიფოსთან) დეტალური ანგარიშების შეჯერების შედეგად წარმოიშობა. ანგარიშფაქტურების მოსალოდნელი კორექტირებები ფასდება კონტრაქტის დასაწყისშივე. პოტენციური მომავალი კორექტირებებისა და ფასდაკლებების შეფასება ხდება სტატისტიკურად საშუალო კორექტირების განაკვეთის საფუძველზე, რომელიც გამოიყენება იმ ანგარიშფაქტურების მთლიანი ოდენობების მიმართ, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის დამტკიცებული სახელმწიფოს მიერ. ჯგუფის მთლიანი ამონაგები (კორექტირებებისა და ფასდაკლებების გამოქვითვამდე) ეყრდნობა ოფიციალურ ანგარიშფაქტურებს, რომლებიც წარდგენილია მომხმარებლებისთვის და ოფიციალურად მიღებულია მათ მიერ (სახელმწიფო, სადაზღვევო კომპანიები, პროვაიდერი კლინიკები და ფიზიკური პირები), და დანარიცხებს გაწეულ მომსახურებაზე, რომლებისთვისაც ანგარიშფაქტურები ჯერ არ გამოწერილა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება წარმოადგენს გაწეული ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის სამედიცინო პერსონალის ხელფასებსა და გასამრჯელოს, მასალებსა და მარაგებს, კომუნალური მომსახურებისა და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

EBITDA

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ჯგუფი ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე. შემოსავალი პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე განისაზღვრება, როგორც ჯგუფის მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, საპროცენტო შემოსავალი, საპროცენტო ხარჯი, წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან, სხვა მისაღები ანგარიშების ჩამოწრა, ზარალი „ტრავმატოლოგიური ჰოსპიტლის“ გაყიდვიდან და წმინდა არარეგულარული (ხარჯი)/შემოსავალი.

წმინდა არარეგულარული (ხარჯი) / შემოსავალი

ჯგუფი ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათის შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. ჯგუფი არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის ჯგუფის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით.

უცხოური ვალუტის გადაყვანა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის წარსადგენი ვალუტა და ჯგუფის ყველა კომპონენტის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაყვანა ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალის ნაწილში.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და ოპერაციის დღეს სებ–ის გაცვლით კურსს შორის სხვაობები კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ასახულია სავალუტო ოპერაციებიდან მიღებულ წმინდა ზარალში. სებ–ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 2.7020 და 3.0976 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნებს კლასიფიკაციის გამოყენებისას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე ან კაპიტალზე. ჯგუფი აგრძელებს ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვას, გარდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და შესყიდულ წილებში გადასახდელი თანხებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ეს აქტივები და ვალდებულებები მოიცავს: ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღებ ანგარიშებს, გაცემულ/მიღებულ სესხებს, ნასესხებ სახსრებს, გამოცემულ სავალო ფასიან ქაღალდებსა და სავაჭრო ვალდებულებებს. სესხებსა და მისაღებ ანგარიშებს ჯგუფი ფლობს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და მოსალოდნელია, რომ ისინი წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის დაფარვასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს. ჯგუფმა გააანალიზა ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და დაასკვნა, რომ ეს ინსტრუმენტები აკმაყოფილებს ფასს 9-ის მიხედვით ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კრიტერიუმებს. შესაბამისად, სავალდებულო არ არის ამ ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია.

(ბ) გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, ჯგუფს ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალო ფასიან ქაღალდზე, სესხებსა და მისაღებ ანგარიშებზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას და აღრიცხავს ყველა მოთხოვნაზე, სესხზე და სახელშეკრულებო აქტივებზე მოსალოდნელ ზარალს მათი მთლიანი ვადის განმავლობაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

აღნიშნული ფინანსური აქტივების მოკლევადიანი და ლიკვიდური ბუნებიდან გამომდინარე, ჯგუფმა შეაფასა და არაარსებითად მიიჩნია შესაბამისი საკრედიტო ზარალი. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისა და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების ნაწილში გაუფასურება არ აღიარებულა ფასს 9-ის შესაბამისად.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები თანხები

ფასს 9-ის შესაბამისად გამარტივებული გაუფასურების მიდგომის გამოყენებისას, ჯგუფმა გამოიყენა შეფასების სამი სხვადასხვა მეთოდი მოთხოვნების ტიპის მიხედვით:

1. სახელმწიფოს მიმართ მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასება;
2. ყველა სხვა არსებითი მოთხოვნების (რომელთა ნაშთი 250 ათას ლარს აღემატება) ინდივიდუალური შეფასება; და
3. ყველა სხვა მოთხოვნების ერთობლივი (კოლექტიური) შეფასება. საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე მოთხოვნები ერთიანდება სხვადასხვა პორტფელში კოლექტიური შეფასების მიზნით. ჯგუფმა გამოავლინა პორტფელების შემდეგი ძირითადი ტიპები (რომელთა ნაშთი 250 ათას ლარზე ნაკლებია): ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები (ძირითადად ფიზიკური პირებისგან მისაღები მოთხოვნები), ქირიდან მისაღები მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

მთავრობისგან მისაღები ანგარიშები

სს „ევექსი ჰოსპიტლები“ მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში – „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“. შედეგად, ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების მნიშვნელოვანი ნაწილის (დაახლოებით 70%) გადახდაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა და მუნიციპალური ორგანოები. მთავრობისგან მისაღები ანგარიშებს გააჩნიათ უნიკალური საკრედიტო მახასიათებლები, რომლებიც განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო მახასიათებლებისგან, რომლებსაც ჯგუფი დღესდღეობით ფლობს. აღნიშნული ფაქტისა და შესაბამისი ნაშთის არსებობის გათვალისწინებით, ჯგუფმა დაასკვნა, რომ მთავრობისგან მისაღები ანგარიშების გაუფასურების საკითხი განხილულ უნდა იქნას ინდივიდუალურად, ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტისგან დამოუკიდებლად.

ჯგუფი იყენებს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ საკრედიტო რეიტინგებს, როგორცაა „Standard & Poor“ ან „Moody“, სახელმწიფოსგან მისაღები ანგარიშების საკრედიტო ხარისხის შეფასების მიზნით. მსგავსად აღნიშნულისა, ამავე საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების თანახმად საქართველოსთვის მინიჭებული საკრედიტო რეიტინგის შესაბამის კატეგორიაში დეფოლტის ალბათობა გამოიყენება, როგორც გონივრული ვარაუდი მთავრობისგან მისაღები ანგარიშების დეფოლტის ალბათობასთან დაკავშირებით. მთავრობისგან მისაღები ანგარიშებისთვის დეფოლტის ალბათობა განისაზღვრა ქვეყნის რისკის რეიტინგის საფუძველზე. ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის თავიდან გადააფასებს გაუფასურების გამოთვლებში გამოყენებული დეფოლტის ალბათობის განაკვეთს.

ინდივიდუალურად შეფასებული დებიტორები

იმ დებიტორების შემთხვევაში, რომელთაგან მისაღები ანგარიშების ნაშთი 250 ათას ლარს აღემატება, ჯგუფი თითოეულ შემთხვევას ინდივიდუალურად განიხილავს და მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა და ინდივიდუალურ გარემოებებს. აღნიშნული პროცესი ორი ძირითადი ეტაპისგან შედგება:

- 1) კონტრაქტის ფინანსური მდგომარეობა ფასდება შემდეგ ფაქტორებზე დაყრდნობით: ა) ფინანსური შედეგები და თანაფარდობა (სადაც შესაძლებელია); ბ) ჯგუფისთვის მისაღები ანგარიშების გადახდის ვადაგადაცილების დღეების საშუალო რაოდენობა; და გ) ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი სხვა არაფინანსური ინფორმაცია, როგორცაა ნებისმიერი სიახლე იმ საბაზრო სექტორთან დაკავშირებით, რომელშიც მოქმედებს კონკრეტული დებიტორი, ინფორმაცია ხელმძღვანელობის შესახებ და ა. შ.
- 2) აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ჯგუფის ხელმძღვანელობა ახდენს კონტრაქტის კატეგორიზაციას საკრედიტო რისკის შეფასების მიზნით და გადაჰყავს კოლექტიურ შეფასებაზე. თითოეულ საკრედიტო კატეგორიას მინიჭებული აქვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება გამოცდილების, ხელმძღვანელობის პროფესიული განსჯისა და სამომავლო მოლოდინების საფუძველზე. შეფასება ხორციელდება კვარტალურად. პროცესში ასევე ხორციელდება მაკრო-კორექტირებები რეგრესიის შედეგებსა და მშპ-ის ზრდაზე დამოკიდებულების ფაქტორის შესაბამისად. ამ მოდელში ფინანსური კოეფიციენტების განახლება ხდება ყოველწლიურად, მას შემდეგ, რაც/თუ გამოქვეყნდება კონტრაქტის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება, ხოლო ვადაგადაცილების დღეების საშუალო რაოდენობა, არაფინანსური ინფორმაცია და სამომავლო მოლოდინები გადაიხედება ყოველთვიურად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

კოლექტიური შეფასება

ფასს 9-ის შესაბამისად სადაზღვევო კომპანიებისგან და სხვა მსხვილი კონტრაქტებისგან მისაღები ანგარიშების გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, დებიტორების პორტფელები გადანაწილებულია სხვადასხვა რისკების კალათებში ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის საფუძველზე. ვალდებულების შეუსრულებლობის დადგენისთვის 180-დღიანი გამიჯვნის ვადის დაწესებით, ჯგუფმა მხედველობაში მიიღო სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა მსხვილი კონტრაქტების რეალური გადახდების ისტორია. სამიდან ექვს თვემდე ვადაგადაცილება საკმაოდ ხშირი იყო კრედიტუნარიანი კონტრაქტების შემთხვევაში, ხოლო ექვს თვეზე მეტი ვადით ვადაგადაცილება გადახდების ისტორიაში უკვე ფინანსურ პრობლემებზე მიუთითებდა. სტატისტიკური მონაცემები ეყრდნობოდა ჯგუფის შიდა მონაცემებს. შეიქმნა ხუთი ცალკეული რისკების კალათა:

ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა	კატეგორია	აღწერა
0-30	AA	ძალიან კარგი
31-60	A	კარგი
61-90	B	ნორმალური
91-180	C	ცუდი
181+	D	ვალდებულების შეუსრულებლობა

რაც შეეხება ფიზიკური პირებისა და სხვა მცირე კონტრაქტებისგან მისაღები ანგარიშების გაუფასურების კოლექტიურ შეფასებას, ჯგუფს აქვს ხუთი ცალკეული რისკების კალათა:

ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა	კატეგორია	აღწერა
0-29	A	კარგი
30-59	B	ნორმალური
60-89	C	ცუდი
90+	D	ვალდებულების შეუსრულებლობა

ფასს 9 საწარმოს უფლებას აძლევს, მოსალოდნელი ზარალის გამოთვლისას გამოიყენოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა – „ანარიცხების (რეზერვების) მატრიცები“ (მაგ. მოთხოვნებისთვის), თუ იგი შეესაბამება მოსალოდნელი ზარალის შეფასების ზოგად პრინციპებს. თუმცა, ფასს 9 ასევე მოითხოვს საპროგნოზო (მომავალზე ორიენტირებული) ინფორმაციის გამოყენებას საწარმოს გაუფასურების აღიარების სქემაში.

ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება გამოიყენოს ეს ვარიანტი – ანარიცხების მატრიცები – გაუფასურების კოლექტიური შეფასების შემთხვევაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფმა გამოიყენა გამარტივებული მიდგომა მოთხოვნებისთვის და პირდაპირ განიხილა ზარალს აქტივის არსებობის მანძილზე მთელი პორტფელისთვის, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აქტივის არსებობის მანძილზე აღიარებული იქნება მთლიან პორტფელზე, იმისდა მიუხედავად, საწყისი აღიარების შემდეგ მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. კატეგორიების მიხედვით ვალდებულებების ალბათობის განსასაზღვრად გამოყენებულ იქნა მიგრაციის მატრიცა. ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტისთვის კრედიტის ოდენობა განისაზღვრა, როგორც დებიტორის კრედიტის ოდენობის გადასახდელი ნაშთი.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

საპროგნოზო კომპონენტი

ანალიზში ჯგუფმა ასევე ჩართო მაკროეკონომიკური საპროგნოზო ინფორმაცია, რათა განესაზღვრა დაკორექტირებული დეფოლტის ალბათობა კატეგორიების მიხედვით. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დებიტორები ძირითადად წარმოადგენენ ფიზიკურ პირებს ან მცირე საწარმოებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, ჯგუფს მიაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებლების გამოყენება მართებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით მცირე მოვალეების მოსალოდნელი ეფექტიანობის შეფასებისას. თავად რეალური მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი შეფასდა, როგორც მაკროეკონომიკური მაჩვენებელი შემდეგი ორი არგუმენტის საფუძველზე:

- 1) მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი ეკონომიკის ეფექტიანობის ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მოქალაქეებისა და მცირე საწარმოების ფაქტობრივ კეთილდღეობასთან; და
- 2) მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი ადვილად მოსაპოვებელი მონაცემია; მასთან დაკავშირებით არსებობს როგორც თანმიმდევრული ისტორიული ჩანაწერები, ისე სახელმწიფოს პროგნოზები მომდევნო წლებისთვის, რაც იძლევა ამ მონაცემების გამოყენების შესაძლებლობას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელირებაში. ჯგუფმა შეაფასა ბოლო ორი წლის მშპ-ის ზრდის ტემპის რეგრესიის კოეფიციენტი გაუფასურების განაკვეთებთან მიმართებით (იგივეა, რაც დეფოლტის ალბათობა, დეფოლტის შემთხვევაში 100%-იანი დანაკარგების დაშვებით) და დაადგინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულების კოეფიციენტი.

(გ) ჰეჯირების აღრიცხვა

ჯგუფმა დაადგინა, რომ ყველა არსებული ჰეჯირების ურთიერთობა, რომლებიც ამჟამად მიეკუთვნება ჰეჯირების ეფექტური ურთიერთობის კატეგორიას, წარმოადგენს ჰეჯირების აღრიცხვას ფასს 9-ის მიხედვით. ჯგუფმა არჩია, რომ რეტროსპექტიულად არ გამოეყენებინა ფასს 9 ჰეჯირებაზე გადასვლისას, როდესაც ჯგუფმა არ გამოიყენა ფორვარდული უნქტები ბასს 39-ის მიხედვით ჰეჯირების განსაზღვრისას. ვინაიდან ფასს 9-ით არ იცვლება ზოგადი პრინციპები იმისა, თუ როგორ აღრიცხავს საწარმო ჰეჯირების ეფექტურობას, ჰეჯირების ინსტრუმენტების გამოყენებას ფასს 9-ის მიხედვით არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩამოწერის პოლიტიკა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ჩამოწერს მაშინ, როდესაც წინასწარ განსაზღვრულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ მათი ამოღების გონივრული მოლოდინი აღარ არსებობს. ეს მაჩვენებლებია კონტრაქტის გაკოტრება, სასამართლო გადაწყვეტილება ან ორ წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილება. კომპანია აგრძელებს ნებისმიერი მოთხოვნების ამოღებას, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით არ არის მიჩნეული უიმედოდ, მიუხედავად ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობისა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გამო ჯგუფს არ შეუძლია მოთხოვნების ამოღება, თუ გასულია სამი წელი კონტრაქტისთვის გაგზავნილი ბოლო წერილობითი შეხსენების თარიღიდან.

ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს ჩამოწერს მაშინ, როდესაც გადის მათი ხანდაზმულობის ვადა. ასეთი ჩამოწერების აღიარება ხდება სხვა საოპერაციო შემოსავალში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ა) აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საიჯარო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდეგ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები. თუ ჯგუფს არ აქვს გონივრული რწმენა იმისა, რომ იჯარის ვადის ბოლოს მოიპოვებს საიჯარო აქტივის მესაკუთრეობის უფლებას, აღიარებული აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისა და იჯარის ვადებს შორის უმოკლეს ვადაზე. აქტივის გამოყენების უფლება ცვეთას ექვემდებარება.

ბ) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები იჯარის წამახალისებელი გადახდებით, ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადახდები ასევე მოიცავს შესყიდვის ოფციონის აღსრულების ფასს, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ჯგუფი მას აღასრულებს და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტის გამო, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფის მიერ იჯარის ვადის შეწყვეტის ოფციონის აღსრულებას. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად, რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან გარემოება. საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება საიჯარო გადახდების შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიცირება ან ცვლილება, თუ იცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები ან ცვლილება შედის საიჯარო აქტივის შესყიდვის შეფასებაში. სტანდარტზე გადასვლის თარიღის მდგომარეობით, ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით: აშშ დოლარი: 6.0%; ევრო: 4.5%; ბრიტანული გირვანქა: 5.0%; ქართული ლარი: 11.0%.

გ) მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი სასწრაფო დახმარების მანქანების მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). იგი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს დაბალი ღირებულების მქონედ (ანუ 5,000 აშშ დოლარზე ნაკლები) მიჩნეული საოფისე აღჭურვილობის იჯარის შემთხვევაში. მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

დ) განახლების ოფციონის მქონე ხელშეკრულებების იჯარის ვადის განსაზღვრა განსჯის საფუძველზე

ჯგუფი იჯარის ვადას განსაზღვრავს, როგორც იჯარის შეუქცევად ვადას იმ ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის გახანგრძლივების ოფციონი, თუ არსებობს ამ ოფციონის აღსრულების გონივრული რწმენა, ან ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომლებსაც მოიცავს იჯარის შეწყვეტის ოფციონი, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მისი აღსრულება არ მოხდება. ჯგუფი განსჯაზე დაყრდნობით აფასებს საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იჯარის განახლების ოფციონს აღსრულებს. ანუ, იგი ითვალისწინებს ყველა რელევანტურ ფაქტორს, რომლებიც მისთვის ქმნიან განახლების ოფციონის აღსრულების ეკონომიკურ სტიმულს. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა განსაზღვრავს იჯარის ვადას, თუ ხდება მნიშვნელოვანი მოვლენა, ან გარემოებების ცვლილება, რომელიც მის კონტროლს ექვემდებარება და გავლენას ახდენს მის უნარზე, აღსრულოს (ან არ აღსრულოს) ოფციონი (მაგ. ცვლილება ბიზნეს-სტრატეგიაში).

ჯგუფმა გაანალიზა თავისი საიჯარო ხელშეკრულებები და დაადგინა შემდეგი: ყველა ხელშეკრულება, მათ შორის აფთიაქების, პოლიკლინიკების და საოფისე ფართების იჯარის ხელშეკრულებები, შეიცავს ფულად ან ეკონომიკურ ჯარიმებს ხელშეკრულების მთლიან ვადაზე. უმეტეს შემთხვევაში, მეიჯარის მიერ ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, ამოქმედდება ფულადი ჯარიმა, რომლის მიხედვითაც მან მოიჯარეს სრულად უნდა დაუფაროს საიჯარო ქონების გაუმჯობესებაზე წინასწარ გაწეული ხარჯი. თითქმის ყველა საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, ორივე მხარისთვის გათვალისწინებულია ეკონომიკური ჯარიმა. აფთიაქის ან პოლიკლინიკის მოიჯარისთვის ეკონომიკურ ჯარიმას წარმოადგენს ის მნიშვნელოვანი დრო და ძალისხმევა, რომელსაც იგი მოახმარს ახალი ობიექტის მოძიებას და საიჯარო ქონების გაუმჯობესებას ახალი ობიექტის დებიტორები აფთიაქისა თუ პოლიკლინიკის კონკრეტული საჭიროებებისთვის. საოფისე ფართის შემთხვევაში, მოიჯარეზე დაკისრებული ეკონომიკური ჯარიმა ნიშნავს მნიშვნელოვან დროს, ძალისხმევას და ხარჯს, რომელიც უკავშირდება ოფისის და მისი ინფრასტრუქტურის სხვა ადგილზე გადატანას. მეიჯარისთვის ეკონომიკურ ჯარიმას წარმოადგენს გადახდისუნარიან მოიჯარესთან სტაბილური ურთიერთობის დაკარგვა და პოტენციური დაკარგული შემოსავალი მოცდენის იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ ხდება ახალი დამქირავებლის მოძიება.

პრაქტიკაში, როგორც ჯგუფის ისტორიული სტატისტიკა გვიჩვენებს, ზემოაღნიშნული ფულადი და ეკონომიკური ჯარიმები გამოიხატება სტაბილური ურთიერთობების და საიჯარო ხელშეკრულებების ვადაზე შეწყვეტით, რაც მხოლოდ 1%-მდე შემთხვევებში ხდება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჯგუფმა დაასკვნა, რომ მართებულია იჯარის ვადის განხილვა ხელშეკრულების მთლიან ვადად, ვინაიდან, მაშინაც კი, თუ ფულადი ჯარიმები დაწესდება მხოლოდ საიჯარო ვადის გარკვეულ ნაწილზე, ეკონომიკური ჯარიმები ხელშეკრულების მთლიან ვადაზე ვრცელდება.

თუ არსებობს იჯარის ვადის გაგრძელების ოფციონი და მოიჯარეს აქვს გონივრული რწმენა იმისა, რომ ამ ოფციონს აღსრულებს, ჯგუფი, იჯარის ვადის განსაზღვრისას მის გაგრძელებასაც ითვალისწინებს. ჯგუფმა გაანალიზა თავისი ხელშეკრულებები და, გარკვეულ შემთხვევებში, ხელშეკრულება ავტომატურად იყო გაგრძელებული ვადის ამოწურვის შემდეგ და არცერთ მხარეს არ გამოუთქვამს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილი. ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულებები ითვალისწინებდა ზუსტ ვადას, რომლითაც ხელშეკრულება უნდა გაგრძელებულიყო. ვადები, რომლებითაც გარკვეული ხელშეკრულებები ავტომატურად გრძელდება, ეფუძნება ჯგუფის საოპერაციო დეპარტამენტის განსჯას იმის შესახებ, თუ კიდევ რამდენი ხნით აპირებენ ქონების იჯარით აღებას, თუკი იჯარის ვადა ავტომატურად გაგრძელდება. შესაბამისად, ჯგუფმა დაასკვნა, რომ, ასეთ შემთხვევაში, მართებული იქნებოდა იჯარის ვადის განსაზღვრა ისე, რომ მასში შევიდეს ის პერიოდიც, რომლითაც ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება, ვინაიდან ეს წარმოადგენს საოპერაციო დეპარტამენტის ყველაზე ზუსტ პროგნოზს საიჯარო აქტივის მოსალოდნელი გამოყენების შესახებ.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“ (გაგრძელება)

ე) საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული არადაბრუნებადი გადასახადები

ჯგუფმა ასევე გადახედა თავის მიდგომას საიჯარო გადასახადებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის („დღგ“) მიმართ. ვინაიდან ჯანდაცვის ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი დღგ-ით არ იბეგრება, ჯგუფს სახელმწიფოსგან არ უბრუნდება ამ საიჯარო გადასახადებზე გადახდილი დღგ. აქედან გამომდინარე, ჯგუფმა განიხილა უნდა ემატებოდეს თუ არა ყოველთვის საიჯარო გადახდებს არადაბრუნებადი დღგ და მისი დისკონტირება უნდა ხდებოდეს თუ არა საბაზისო თანხასთან ერთად, რომელიც შეადგენს აქტივის გამოყენების უფლების ნაწილს, თუმცა, მას შემდეგ, რაც გაანალიზა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ჯგუფმა დაასკვნა, რომ მიზანშეწონილია დღგ-ის გამიჯვნა და ხარჯის სახით მისი ცალკე აღრიცხვა, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაბრუნებას არ ექვემდებარება.

ვ) საიჯარო გადახდები

ზოგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო ფიქსირებული გადახდების გარდა, ხელშეკრულებით ცვალებადი გადახდებიც არის გათვალისწინებული. ფასს 16-ის მიხედვით, საიჯარო გადახდები არ უნდა შეიცავდეს რამე ცვალებად გადახდებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. მაგალითად, თუ ცვალებადი იჯარა დამოკიდებულია საქმიანობის შედეგებზე, იგი არ უნდა შევიდეს საიჯარო გადახდებში. თავისი ხელშეკრულებების გაანალიზების შედეგად, ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ რამდენიმე ხელშეკრულება შეიცავდა კომუნალურებთან და მარკეტინგთან დაკავშირებულ გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებული იყო ამონაგებზე. ვინაიდან ეს გადასახადები ცვალებადია და ისინი არ არის დამოკიდებული რამე ინდექსზე ან განაკვეთზე, ჯგუფმა დაასკვნა, რომ მართებული იქნებოდა მათი გამორიცხვა საიჯარო გადახდებიდან.

ანგარიშგება სეგმენტების მიხედვით

საოპერაციო გადაწყვეტილებების მთავარი მიმღები პირი აფასებს ჯგუფს, როგორც ერთ საოპერაციო სეგმენტს, ფასს-ის მიხედვით გაცხადებულ შედეგებზე დაყრდნობით. კომპანიის შემოსავლის და აქტივების უმეტესი ნაწილი საქართველოში მდებარეობს. არ არსებობდა ერთი გარე კონტრაქტი, რომელზეც კომპანიის 2022 წლის ან 2021 წლის ამონაგების 10% მოვიდოდა.

აქტივების და ვალდებულებების წარმოდგენა

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს თავისი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით, რაც მისადაგებული აქვს თავისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების წარდგენასთან. ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი განსჯის საფუძველზე განსაზღვრა, რომ მშობელი საწარმო არის ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებების მთავარი მომხმარებელი და რომ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით ყველაზე რელევანტურია პირველადი მომხმარებლის საჭიროებებისთვის. ინფორმაცია ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების ამოდების მოსალოდნელი ვადების შესახებ წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 28-ე შენიშვნაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ჯგუფმა პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული გარკვეული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის (თუ სხვა რამე არ არის მითითებული). ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

„წაგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ხარჯები“ – შესწორებები ზასს (IAS) 37–ში

წაგებიანი ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის მიხედვით მოვალეობების შესასრულებლად გარდაუვალი დანახარჯი (ანუ დანახარჯი, რომლის თავიდან აცილება ჯგუფს არ შეუძლია, რადგან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული) აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოსალოდნელ სარგებელს. ცვლილებები აკონკრეტებს, რომ იმის განსაზღვრისას, ხელშეკრულება წაგებიანია თუ ზარალიანი, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საქონლის ან მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებას. ეს შეიძლება იყოს ან ხელშეკრულების შესრულების დამატებითი დანახარჯები (მაგ. პირდაპირი შრომითი ხარჯი და მასალის ხარჯი) ან სხვა დანახარჯების განაწილება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულების შესრულებას (მაგ. ცვეთის დარიცხვა აღჭურვილობაზე, რომელიც გამოიყენება ხელშეკრულების შესასრულებლად და ხელშეკრულების მართვისა და ზედამხედველობის ხარჯები). ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები პირდაპირ არ უკავშირდება ხელშეკრულებას და გამოირიცხება, თუკი ისინი ამკარად არ ეკისრება კონტრაქტს ხელშეკრულების თანახმად.

ჯგუფმა ეს ცვლილებები გამოიყენა იმ ხელშეკრულებებისთვის, რომელთა მიხედვით აღებული ყველა ვალდებულება ჯერ არ ჰქონდა შესრულებული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში. ცვლილებების გამოყენებამდე ჯგუფს არ ჰქონდა იდენტიფიცირებული რომელიმე ხელშეკრულება წაგებიანად, ვინაიდან ხელშეკრულების თანახმად გარდაუვალი დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენდა ხელშეკრულების შესრულების ხარჯებს, შედგებოდა მხოლოდ ხელშეკრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი დანახარჯებისგან. ცვლილებების შედეგად, ჯგუფმა ზოგიერთი სხვა პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯები გაითვალისწინა ხელშეკრულების შესრულებისთვის საჭირო დანახარჯების განსაზღვრისას.

სტანდარტზე გადასვლის პირობების თანახმად, ჯგუფი იყენებს ცვლილებებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომელთა მიხედვით აღებული ყველა ვალდებულება ჯერ არ შეუსრულებია წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელშიც იგი პირველად იყენებს ამ ცვლილებებს (სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღი) და არ გადაუანგარიშებია შესადარისი ინფორმაცია. ზასს 37–ის მიღების ეფექტი გამოწვეულ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

„კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“ – შესწორებები ფასს (IFRS) 3–ში

ცვლილებებმა ჩაანაცვლა მითითება ზასს–ის „კონცეპტუალური საფუძვლების“ წინა ვერსიაზე, ხოლო ამჟამინდელ ვერსიაზე მითითება გამოშვებულია 2018 წლის მარტში მისი მოთხოვნების მნიშვნელოვნად შეცვლის გარეშე. ცვლილებებმა დაამატა გამონაკლისი ფასს 3–ის „საწარმოთა გაერთიანება“ აღიარების პრინციპიდან, რათა თავიდან აერიდებინა ვალდებულებებთან ან პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური „მეორე დღის“ შემოსულობის ან ზარალის საკითხი, რომელიც ცალ–ცალკე მოექცეოდა ზასს 37–ის „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ ან ფასიკ 21–ის „მოსაკრებლები“ მოქმედების არეალში. გამონაკლისი საწარმოებისგან მოითხოვს კრიტერიუმების გამოყენებას ზასს 37–ში ან ფასიკ 21–ში, შესაბამისად, ნაცვლად კონცეპტუალური საფუძვლებისა, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამჟამინდელი ვალდებულება შეძენის თარიღისთვის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

„კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“ – შესწორებები ფასს (IFRS) 3–ში (გაგრძელება)

ცვლილებები ასევე ამატებს ახალ აბზაცს ფასს 3–ში, რათა განმარტოს, რომ პირობითი აქტივები არ საჭიროებს აღიარებას შეძენის თარიღისთვის. სტანდარტზე გადასვლის პირობების თანახმად, ჯგუფი იყენებს ცვლილებებს პერსპექტიულად, ანუ საწარმოთა გაერთიანებებისთვის, რომლებიც ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელშიც იგი პირველად იყენებს ამ ცვლილებებს (სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღი). ამ ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან პერიოდის განმავლობაში არ წარმოშობილა პირობითი აქტივები, ვალდებულებები ან პირობითი ვალდებულებები, რომლებიც ამ ცვლილებების არეალში მოექცეოდა.

ძირითადი საშუალებები: შემოსულობა მიზნობრივ გამოყენებამდე – ცვლილებები ზასს (IAS) 16–ში „იჯარა“

ამ შესწორების მიხედვით, საწარმოებს ეკრძალებათ ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულებიდან გამოქვითონ ნებისმიერი შემოსულობა ერთეულების გაყიდვიდან, რომელიც წარმოიქმნება ამ აქტივის ისეთ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, რომელიც საჭიროა ხელმძღვანელობისთვის სასურველი მიზნით მის გამოსაყენებლად. ამის ნაცვლად, საწარმო ასეთი ერთეულების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობას და ამ ერთეულების წარმოების თვითღირებულებას აღიარებს მოგებაში ან ზარალში. სტანდარტზე გადასვლის პირობების თანახმად, ჯგუფი ცვლილებებს რეტროსპექტიულად იყენებს მხოლოდ ძირითადი საშუალებების იმ ერთეულებზე, რომლებიც ექსპლუატაციისთვის მზად არის საწარმოს მიერ ამ შესწორების პირველად გამოყენებისას წარმოდგენილი უადრესი პერიოდის საწყისი ან მის შემდგომი თარიღიდან (სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღი). ცვლილებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია, რადგან არ გაყიდულა ძირითადი საშუალებების ისეთი ერთეულები, რომლებიც ექსპლუატაციისთვის მზად იყო წარმოდგენილი უადრესი პერიოდის საწყისი თარიღით ან მის შემდეგ.

ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ – შვილობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს–ს

ცვლილება შვილობილ საწარმოს, რომელიც გადაწყვეტს გამოიყენოს ფასს 1–ის დ16(ა) მუხლი, უფლებას აძლევს, დაგროვილი საკურსო სხვაობები შეაფასოს მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაცხადებული თანხებით, მშობელი საწარმოს ფასს–ზე გადასვლის თარიღის მიხედვით, თუ კორექტირებები არ შესულა კონსოლიდირების პროცედურებში და საწარმოთა გაერთიანების ეფექტებში, რომლის დროსაც მშობელმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ეს ცვლილება ასევე გამოიყენება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებზე, რომლებიც არჩევენ ფასს 1–ის დ16 (ა) მუხლის გამოყენებას.

ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან ის არ არის საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს–ს.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ – ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები

ცვლილება განმარტავს საკომისიოებს, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს იმის შეფასებისას, ახალი ან მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების პირობებისგან. ამ საკომისიოებში შედის მხოლოდ მსესხებელსა და კრედიტორს შორის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, მათ შორის ისინიც, რომლებიც მსესხებელმა ან კრედიტორმა ერთმანეთის სახელით გადაიხადეს ან მიიღეს. მსგავსი ცვლილება არ არის შემოთავაზებული ზასს 39–ისთვის „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ – ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის, 10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები (გაგრძელება)

სტანდარტზე გადასვლის პირობების თანახმად, ჯგუფი ცვლილებებს იყენებს იმ ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც მოდიფიცირებული ან გაცვლილია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღით ან თარიღიდან, რომლის განმავლობაშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებას (სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღი). ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან პერიოდის განმავლობაში ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიცირება არ მომხდარა.

ბასს (IAS) 41 – „სოფლის მეურნეობა“ – გადასახადით დაბეგვრა სამართლიანი ღირებულების შეფასებებში

ცვლილების შედეგად ბასს 41–ის 22–ე მუხლიდან ამოღებულია მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საწარმოებმა ბასს 41–ის მიხედვით აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასებაში არ უნდა შეიყვანონ საგადასახადო ფულადი ნაკადები.

ამ ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან მას საანგარიშგებო თარიღისთვის არ ჰქონდა ბასს 41–ის მოქმედების სფეროში მოქცეული აქტივები.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხვულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას. ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

გუდვილის გაუფასურების ტესტირება

გუდვილის გაუფასურების ტესტირებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასებები წარმოდგენილია მე-9 შენიშვნაში.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურება

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა ჯგუფის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული მომხმარებლების ანგარიშების ამოღება. თუ არსებობს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესების ნიშნები, შესაბამისი მისაღები ანგარიშები გაუფასურებულად ჩაითვლება. ამგვარი გაუარესების ნიშნების დადგენის მთავარი კრიტერიუმია მომხმარებლების მიერ დავალიანების დაფარვის ხარისხი, რომელიც ფასდება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობით (ე.ი. რამდენი დღით დაგვიანდა გადახდა). მომხმარებლების მიერ მიმდინარე და ძველი დავალიანების დაფარვის შესაბამისი ანალიზის საფუძველზე ჯგუფი განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გამოიყენება სათანადო დარეზერვების განაკვეთი, რომელიც ასახავს დავალიანების დაფარვის კონკრეტულ კატეგორიასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს. თუ ასეთი მტკიცებულება არ არსებობს, შესაბამისი მისაღები ანგარიშები ფასდება კოლექტიურად, როგორც კარგი ხარისხის მქონე, მაღალი საკრედიტო ხარისხის მქონე მისაღები ანგარიშებში, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებისა და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე, რაც ფაქტობრივად გულისხმობს ვადაგადაცილებული დღეების არაარსებით ოდენობას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

კოლექტიურად შეფასების მიზნებისთვის, ხელმძღვანელობის განსჯით, ისტორიულ ტენდენციებზე დაყრდნობით შეიძლება ზარალის პროგნოზირება და ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ამოღებადი დავალიანების მოცულობის შესაფასებლად. ჯგუფი შეფასებების გადახედვას ახდენს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს პროგნოზებისგან და ჯგუფის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე. ჯანდაცვიდან მისაღები სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ოდენობა 2022 წლის 31 დეკემბრისთვის 28,730 ლარი (2021 წ.: 22,772 ლარი) იყო. იხილეთ მე-6 შენიშვნა.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2022	2021
მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკებში	20,135	33,390
ნაღდი ფული	151	103
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	20,286	33,493

ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაქტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ამასთან, მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

6. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

	2022	2021
სახელმწიფოსგან მისაღები ანგარიშები	66,107	79,197
ფიზიკური პირებისგან და სხვა მისაღები ანგარიშები	37,679	29,842
სადაზღვევო კომპანიებისგან მისაღები ანგარიშები	10,785	7,708
	114,571	116,747
გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი	(28,730)	(22,772)
სულ ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები, წმინდა	85,841	93,975

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

7. მარაგები

	2022	2021
მედიკამენტები	17,900	22,839
არასამედიცინო მასალები	997	994
სხვა მარაგები	35	36
მარაგები, სულ	18,932	23,869

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. ძირითადი საშუალებები

	საავადმყოფოები და კლინიკები	ავეჯი და მოწყობილობები	კომპიუტერები	სამედიცინო აღჭურვილობა	ავტო სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო ქონების გაუმჯობესებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება								
31 დეკემბერი, 2020 წ.	279,041	13,521	10,615	167,215	4,665	7,311	338	482,706
შემოსვლები	2,507	435	331	17,044	14	74	-	20,405
გასვლები	-	-	-	-	(117)	-	-	(117)
31 დეკემბერი, 2021 წ.	281,548	13,956	10,946	184,259	4,562	7,385	338	502,994
შემოსვლები	8,270	1,227	936	9,648	447	847	-	21,375
„ტრავმატოლოგიური ჰოსპიტლის“ გასვლა	(8,436)	(589)	(457)	(4,494)	(16)	-	-	(13,992)
სხვა გასვლები	-	-	-	-	-	-	(15)	(15)
31 დეკემბერი, 2022 წ.	281,382	14,594	11,425	189,413	4,993	8,232	323	510,362
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი, 2020 წ.	4,149	4,425	7,595	54,586	2,712	2,475	-	75,942
ცვეთის ხარჯი	3,161	1,201	1,417	15,695	344	503	-	22,321
გასვლები	-	-	-	-	(24)	-	-	(24)
31 დეკემბერი, 2021 წ.	7,310	5,626	9,012	70,281	3,032	2,978	-	98,239
ცვეთის ხარჯი	3,412	1,415	2,252	17,571	551	641	-	25,842
„ტრავმატოლოგიური ჰოსპიტლის“ გასვლა	(1,016)	(223)	(234)	(1,922)	(9)	-	-	(3,404)
31 დეკემბერი, 2022 წ.	9,706	6,818	11,030	85,930	3,574	3,619	-	120,677
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება:								
31 დეკემბერი, 2020 წ.	274,892	9,096	3,020	112,629	1,953	4,836	338	406,764
31 დეკემბერი, 2021 წ.	274,238	8,330	1,934	113,978	1,530	4,407	338	404,755
31 დეკემბერი, 2022 წ.	271,676	7,776	395	103,483	1,419	4,613	323	389,685

ჯგუფი აგირავებს თავის საოფისე და საავადმყოფოების შენობებს და დაუმთავრებელ მშენებლობას თავისი ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის დაგირავებული შენობების საბალანსო ღირებულება 271,676 ლარს (2021 წ.: 274,238 ლარი) შეადგენდა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

გუდვილის მოძრაობა 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ასეთი იყო:

	2022	2021
1 იანვარი,	13,552	15,912
გასვლა (1-ელი შენიშვნა)	-	(1,449)
გაუფასურება	-	(911)
31 დეკემბერი	13,552	13,552

გუდვილის ტესტირება და მონიტორინგი ხელმძღვანელობის მიერ ხდება მთლიანი ჯგუფის დონეზე, ვინაიდან იგი წარმოადგენს ერთიან საოპერაციო სეგმენტს და ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს. ჯგუფი ყოველწლიურად ატარებს გუდვილის გაუფასურების ტესტირებას. გაუფასურების ბოლო ტესტირება ჯგუფმა ჩაატარა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფს არ გამოუვლენია გუდვილის რამენაირი გაუფასურება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულებები განისაზღვრა ხელმძღვანელობის ზედა რგოლის მიერ დამტკიცებულ ხუთწლიან ფინანსურ ბიუჯეტებზე დაყრდნობით ფულადი ნაკადების პროგნოზების გამოყენებით გაანგარიშებული გამოყენების ღირებულების საფუძველზე. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება აღემატება მის საბალანსო ღირებულებას 195,258 ლარით, 16.4%-იანი დისკონტირების განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში. დისკონტირების განაკვეთი, რომელიც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულებას უტოლებს საბალანსო ღირებულებას, არის 20.3%.

გუდვილის გაუფასურების ტესტირების ჩატარებისას შემდეგი ძირითადი დაშვებები გაკეთდა:

- ▶ დისკონტირების განაკვეთი გამოთვლილია კაპიტალური აქტივების ფასდადების მოდელის გამოყენებით დარგის ბეტა კოეფიციენტზე დაყრდნობით,
- ▶ 2023–2027 წლების ფულადი ნაკადების პროგნოზები მოდელირებული იყო ინდივიდუალურად, ხოლო 2028 წელს და მის შემდეგ მოდელირება ეყრდნობოდა საპროგნოზო პერიოდის შემდგომ 5%-იან ზრდის ტემპს,
- ▶ საშუალო, სტაბილური 4.9%-იანი რეალური მშპ-ის ზრდა ნავარაუდევია იქნა 2024 წლისა და მისი შემდგომი წლებისთვის გაკეთებული გარე სტატისტიკური პროგნოზების საფუძველზე.

ბიზნესგეგმის პირველი სამი წლისთვის შემდეგი დამატებითი დაშვებები გაკეთდა:

- ▶ დამატებითი სინერგიები გაზრდის ხარჯთეფექტიანობას და გააუმჯობესებს საოპერაციო ფინანსურ ბერკეტებს,
- ▶ სხვა ჯანდაცვის მომსახურების მიმართულებების ზრდა მაღალი საბაზრო მოთხოვნიდან და ეკონომიკური ზრდის ფაქტორიდან გამომდინარე.

სხვა არამატერიალურ აქტივებში შედის ლიცენზიები და კომპიუტერული პროგრამები, რომელთა საბალანსო ღირებულებაც 2022 წლის 31 დეკემბრისთვის 27,031 ლარია (2021 წ.: 30,550 ლარი). კომპანიის არამატერიალური აქტივების თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 40,310 ლარს შეადგენდა (2021 წ.: 40,551 ლარი), ხოლო დაგროვილი ამორტიზაცია – 13,279 ლარს (2021 წ.: 10,001 ლარი). ამორტიზაციის ხარჯი 2022 წლის განმავლობაში 3,793 ლარს გაუტოლდა (2021 წ.: 3,417 ლარი). 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ გამოუვლენია არამატერიალური აქტივების გაუფასურება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. გადასახადები

2022 და 2021 წლებში ჯგუფს არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი. საქართველოში იურიდიულმა პირებმა ინდივიდუალური საგადასახადო დეკლარაციები უნდა წარადგინონ. 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენდა გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-ს – განაწილებული მოგებაზე. ჯგუფის მიერ 2022 წელს და 2021 წელს განაწილებულს დივიდენდებს არ გამოუწვევია საგადასახადო შედეგები, ვინაიდან სხვა ქართული იურიდიული პირების მიმართ განაწილებები გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან.

11. ნასესხები სახსრები

	2022	2021
ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	93,643	39,036
უცხოური ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	54,735	45,447
სხვა	8,179	17,090
ნასესხები სახსრები, სულ	156,557	101,573

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრების საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 14.0% იყო (2021 წ.: 13.3%), ხოლო საშუალო ვადა – 475 დღე (2021 წ.: 1,286 დღე). საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრების საშუალო საპროცენტო განაკვეთი 9.6% იყო (2021 წ.: 4.7%), ხოლო ვადა – 1,158 დღე (2021 წ.: 920 დღე). 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის სხვა ნასესხები სახსრები მოიცავს მშობელი საწარმოსგან ნასესხებ სესხს, რომლის ვადა იწურება 1,576 დღეში (2021 წ.: 115 დღე) და მისი საპროცენტო განაკვეთია 3.0% (2021 წ.: 3.0%), სესხები გამოხატულია აშშ დოლარში. ზოგიერთი სესხი მიღებულია გარკვეული პირობებით, როგორცაა მოზიდული სახსრების წილის, კაპიტალური ინვესტიციების, უძრავი ქონების მინიმალური ოდენობის და სხვა სხვადასხვა ლიმიტის შენარჩუნება. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი კრედიტორების ყველა პირობას აკმაყოფილებდა.

12. სავაჭრო ვალდებულებები

	2022	2021
ჯანდაცვის მასალებისა და მარაგებისთვის გადასახდელი თანხები	9,229	24,013
საოფისე ინვენტარში გადასახდელი თანხები	3,480	5,023
ჯანდაცვის მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები	1,696	2,409
ძირითადი საშუალებების შესამენად გადასახდელი თანხები	310	932
სხვა ვალდებულებები	228	968
სავაჭრო ვალდებულებები, სულ	14,943	33,345

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული საავადმყოფოების და სათავო ოფისის შენობები. საიჯარო ხელშეკრულებები გამოხატულია აშშ დოლარში.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის აქტივის გამოყენების უფლებებისა და საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მათი მოძრაობა წლის განმავლობაში:

	აქტივის გამოყენების უფლება (შენობები)	საიჯარო ვალდებულებები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,752	3,168
წმინდა შემოსვლები	524	524
ცვეთის ხარჯი	(841)	-
საპროცენტო ხარჯი	-	179
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტიდან გადახდები	-	(133)
	-	(921)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,435	2,817
წმინდა შემოსვლები	2,158	2,158
ცვეთის ხარჯი	(730)	-
საპროცენტო ხარჯი	-	225
წმინდა მოგებაი უცხოური ვალუტიდან გადახდები	-	(564)
	-	(783)
სხვა	125	-
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,988	3,853

14. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

2019 წლის ნოემბერში სს „ევექსი ჰოსპიტლებმა“ გამოუშვა 50 მილიონი ლარის 5-წლიანი ვადის მქონე ადგილობრივი ობლიგაციები. ობლიგაციები გამოიშვა ნომინალური ღირებულებით, და მათი წლიური კუპონის განაკვეთი იყო 11.6%, რაც წარმოადგენს 310 საბაზისო პუნქტის პრემიას სებ-ის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირება) განაკვეთზე. შემოსულობა გამოყენებული იქნა ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების და ასევე მანამდე გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების რეფინანსირებისთვის.

2017 წლის ივლისში ევექსი ჰოსპიტლებმა გამოუშვა 90 მილიონი ლარის 5-წლიანი ვადის მქონე ადგილობრივი ობლიგაციები. ობლიგაციები გამოიშვა ნომინალური ღირებულებით, და მათი წლიური კუპონის განაკვეთი იყო 10.5%, რაც წარმოადგენს 350 საბაზისო პუნქტის პრემიას სებ-ის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირება) განაკვეთზე. შემოსულობა გამოყენებულ იქნა ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების რეფინანსირებისთვის, რომლებიც ფინანსირების შედარებით უფრო ძვირადღირებულ წყაროს წარმოადგენს, და ასევე გეგმური მიმდინარე კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებისთვის. 2022 წელს კომპანიამ გადაიხადა 59.7 მილიონი ლარი 2017 წლის ივლისში გამოშვებული ობლიგაციების სრულად დასაფარად (2019 წელს გადახდილი იქნა 30.3 მილიონი ლარი 90 მილიონი ლარიდან).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების მთლიანი ნაშთი 51,078 ლარია (2021 წ.: 113,920 ლარი).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

15. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

ჩვეული საქმიანობის პროცესში ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა აღიმრას სარჩელები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს სასამართლო დავა ჰქონდა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ჯამში 21,644 ლარის თანხაზე (2021 წ.: 17,887 ლარი). სოციალური მომსახურების სააგენტოსთან დავა ძირითადად უკავშირდებოდა საპროცესო დარღვევებს სამედიცინო დოკუმენტაციაში, ასევე ბილინგისა და ანგარიშფაქტურების გამოწერის პროცესში.

2015 წლის 16 აპრილს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის ყოფილი აქციონერებიდან ზოგიერთმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“, „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის და „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ წინააღმდეგ, რომელთაგან ყველა „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ სამართალმემკვიდრეა. 2014 წელს გაფორმებული ბიზნესის გაყოფის ხელშეკრულების თანახმად, „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ (ყოფილი „ალდაგი BCI“) ბიზნესი და აქტივები და ვალდებულებები სამ საწარმოზე განაწილდა: „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-მა მიიღო სამედიცინო და სამოგზაურო დაზღვევის ბიზნესი, „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ მიიღო ჯანდაცვის მომსახურების ბიზნესი, ხოლო „სამედიცინო კომპანია ალდაგი“ აგრძელებს ფუნქციონირებას, როგორც ქონების, უბედური შემთხვევების და საპენსიო დაზღვევის ბიზნესი. სარჩელის მიხედვით, მოსარჩელეთა მიერ ფლობილი აქციების 66.0% კომპანიის სააქციო კაპიტალში 2012 წელს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი BCI“-ზე გაიყიდა იძულების წესით საბაზროზე დაბალი ღირებულებით და მოთხოვნილი ზარალის ანაზღაურება შეადგენს 17 მილიონ აშშ დოლარს, რასაც ემატება მოთხოვნილი თანხის წლიური 10% დაკარგული შემოსავლის სახით. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სარჩელში აღწერილი ფაქტები არ არის გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებით. კანონის ან რეგულაციის არანაირი დარღვევა ან უკანონო ქმედების ჩადენა არ მტკიცდება. სარჩელი წარმოდგენილია მხოლოდ განცხადებების სახით და არ არსებობს ასეთი ქმედებების მტკიცებულება, ვინაიდან აღნიშნული ქმედებები არ განხორციელებულა. ამრიგად, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს არ აქვს აღიარებული რეზერვი ამ სასამართლო დავასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობას გონივრულობის ფარგლებში მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

გადასახადები

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაციები „ჯგუფის“ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ შემოწმების პერიოდის წინა ხუთი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცავს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებური განმარტება ჯეროვანია და რომ ჯგუფის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

16. საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ევექსი ჰოსპიტლების“ მიმოქცევაში არსებული აქციების (A და B ტიპის აქციების გაერთიანებული კლასი) რაოდენობა იყო 47,828,217. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 0.1 ლარს შეადგენდა და მათგან ყველა სრულად იყო განაღდებული. 2022 წლის დეკემბერში ჯგუფმა გამოაცხადა 0.31 ლარის დივიდენდი ერთ აქციაზე (2021 წ.: 0.50 ლარის დივიდენდი ერთ აქციაზე), რაც გაუტოლდა 15,000 ათას ლარს (2021 წ.: 24,000 ათასი ლარი). გამოცხადებული 15,000 ლარის თანხიდან 14,863 ლარი გადახდილი იქნა 2022 წლის განმავლობაში (2021 წ.: სრულად გადახდილი).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ევექსი ჰოსპიტლების“ მიმოქცევაში არსებული B ტიპის აქციების მთლიანი რაოდენობა იყო 286,887 (2021 წ.: 128,238). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 0.1 ლარს შეადგენდა და მათგან ყველა სრულად იყო განაღდებული. B ტიპის აქციის მფლობელებს უფლება აქვთ დივიდენდი მიიღონ ლარში, მაგრამ არ აქვთ ხმის მიცემის უფლება.

სხვა რეზერვების ხასიათი და დანიშნულება

სხვა რეზერვები შედგება არსებულ შვილობილ საწარმოებში დამატებითი წილის შესყიდვის შედეგად მიღებული წმინდა ზარალისგან. ნაშთი 2022 წელს 14,604 ლარი იყო (2021 წ.: 14,604 ლარი).

17. ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან

	2022	2021
სახელმწიფოსგან მიღებული ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა), საიდანაც	183,398	230,644
შემოსავალი კოვიდ საავადმყოფოებიდან	16,132	87,330
თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	88,763	76,091
სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	21,029	15,640
გამოკლებული: შესწორებები და ფასჩამოკლებები	(4,445)	(4,026)
სულ ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	288,745	318,349

სახელმწიფოსგან მიღებული ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან წარმოდგენილია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული ამონაგებით.

ჯგუფმა აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	2022	2021
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	85,841	93,975

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება.

ჯგუფი მიმართავს ფასს 15.121–ით გათვალისწინებულ პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები

	<i>2022</i>	<i>2021</i>
ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ხარჯი	(106,321)	(103,379)
ნედლეულისა და მასალების თვითღირებულება	(52,720)	(68,130)
კომუნალური და სხვა ხარჯი	(19,093)	(16,544)
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	(5,724)	(7,305)
ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები, სულ	(183,858)	(195,358)

კომუნალურ და სხვა ხარჯებში შედის ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, დასუფთავების, წყალმომარაგების, საწვავის, სამედიცინო აპარატურის სარემონტო სამუშაოებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები. არაპირდაპირი ხელფასები, რომლებიც არ აისახა ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს შეადგენდა 32,111 ლარს (2021 წ.: 28,227 ლარი) და წარმოდგენილი იყო ცალკე სტრიქონის მუხლად კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგებაში ან ზარალში ხარჯად აღიარებული ხელფასებისა და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოების მთლიანმა თანხამ შეადგინა 138,432 ლარი (2021 წ.: 131,606 ლარი).

19. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	<i>2022</i>	<i>2021</i>
ამონაგები მედიკამენტების გაყიდვიდან	5,957	506
საიჯარო შემოსავალი	943	968
შემოსავალი სარეზიდენტო პროგრამიდან	738	698
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	174	475
სხვა	1,288	927
სხვა საოპერაციო შემოსავალი, სულ	9,100	3,574

20. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	<i>2022</i>	<i>2021</i>
ხელფასები და სხვა სარგებელი	(27,777)	(22,998)
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება	(2,412)	(1,437)
პრემიები ფულადი სახით	(1,922)	(3,792)
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(32,111)	(28,227)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
საოფისე ინვენტარი და კომუნალური ხარჯები	(5,136)	(4,175)
მარკეტინგი და რეკლამა	(3,346)	(1,721)
პროფესიული მომსახურება	(693)	(409)
კომუნიკაციები	(641)	(588)
საოპერაციო საგადასახადო ხარჯი	(611)	(326)
ბანკებისთვის გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო	(424)	(356)
იჯარისა და ქირის ხარჯი	(390)	(80)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(329)	(211)
მგზავრობის ხარჯები	(239)	(152)
უსაფრთხოება	(54)	(55)
სხვა	(2,091)	(2,246)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	(13,954)	(10,319)

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლებში სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები ძირითადად მოიცავდა ტრენინგის, ქონების დაზღვევისა და სხვა ხარჯებს. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლებში ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელო შეადგენდა 46 ლარს და 67 ლარს, შესაბამისად.

22. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

	2022	2021
1 იანვარი,	25,200	20,618
გაუფასურების ხარჯი	4,863	4,150
შესწორება	1,095	432
ჩამოწერა/ (აღდგენა)	(2,428)	-
31 დეკემბერი	28,730	25,200

23. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022	2021
გაყიდული მედიკამენტების თვითღირებულება	(4,117)	(260)
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(2,163)	(2,072)
ჯარიმები	(434)	(288)
საქველმოქმედო საქმიანობა	(246)	(202)
სხვა	(284)	(683)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	(7,244)	(3,505)

საჯარიმო ხარჯები ძირითადად უკავშირდებოდა საპროცესო დარღვევებს სამედიცინო დოკუმენტაციაში, ასევე ბილინგისა და ანგარიშგაქტურების გამოწერის პროცესში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

24. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი		
გაცემულ სესხებზე საპროცენტო შემოსავალი	668	622
საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებიდან	475	2,162
სულ საპროცენტო შემოსავალი	1,143	2,784
საპროცენტო ხარჯი		
ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	(12,681)	(10,954)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო ხარჯი	(11,046)	(13,815)
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ იჯარაზე	(225)	(179)
სულ საპროცენტო ხარჯი	(23,952)	(24,948)

25. წმინდა არარეგულარული (ხარჯი) / შემოსავალი

წმინდა არარეგულარული ხარჯი

ჯგუფი ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათისა შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. ჯგუფი არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის ჯგუფის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წმინდა არარეგულარული ხარჯი მოიცავდა შემდეგს:

- ▶ 1,123 ლარის ზარალი აქტივის ერთჯერადი ჩამოწერის შედეგად,
- ▶ 360 ლარის ზარალი თანამშრომლის დათხოვნის კომპენსაციიდან,
- ▶ 498 ლარის ზარალი სხვა ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე გარიგებებიდან.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წმინდა არარეგულარული ხარჯი მოიცავდა შემდეგს:

- ▶ 911 ლარი ტრავმატოლოგიური ჰოსპიტლის გუდვილის ჩამოწერიდან (მე-9 შენიშვნა)
- ▶ 786 ლარის კოვიდთან დაკავშირებული ხარჯები,
- ▶ 405 ლარის ზარალი თანამშრომლის დათხოვნის კომპენსაციიდან,
- ▶ 310 ლარის ერთჯერადი კონსულტაციის კომპენსაციის ხარჯი,
- ▶ 246 ლარის ერთჯერადი კომპენსაციის ხარჯი,
- ▶ 134 ლარის ზარალი აქტივის ერთჯერადი ჩამოწერის შედეგად,
- ▶ 49 ლარის ზარალი სხვა ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე გარიგებებიდან

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

26. აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება

2022 წლის აპრილში მშობელი საწარმოს, „საქართველოს კაპიტალის“, დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა სს „ევექსი ჰოსპიტლების“ B ტიპის 128,238 აქციის გადაცემა კომპანიის 7 აღმასრულებელი პირისთვის. აქციები გადაიცა უფლების გადაცემის სამ და ოთხწლიანი ვადით, რომლის ერთადერთი პირობა ამ ხნის განმავლობაში უწყვეტი დასაქმებაა. უფლების გადაცემის სამწლიანი ვადა ვრცელდება დისკრეციულ აქციებზე, ხოლო უფლების გადაცემის ოთხწლიანი პერიოდი – გარანტირებულ აქციებზე. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2022 წლის 3 აპრილს. ჯგუფის შეფასებით, გადაცემული თითო აქციის სამართლიანი ღირებულება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის 15.5 ლარი იყო. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა მესამე მხარის მიერ შეფასების ანგარიშის საფუძველზე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციებზე უფლების გადაცემა არ მომხდარა.

2021 წლის თებერვალში მშობელი საწარმოს, „საქართველოს კაპიტალის“, დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა სს „ევექსი ჰოსპიტლების“ B ტიპის 143,802 აქციის გადაცემა კომპანიის 7 აღმასრულებელი პირისთვის. აქციები გადაიცა უფლების გადაცემის სამ და ოთხწლიანი ვადით, რომლის ერთადერთი პირობა ამ ხნის განმავლობაში უწყვეტი დასაქმებაა. უფლების გადაცემის სამწლიანი ვადა ვრცელდება დისკრეციულ აქციებზე, ხოლო უფლების გადაცემის ოთხწლიანი პერიოდი – გარანტირებულ აქციებზე. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2021 წლის 5 თებერვალს. ჯგუფის შეფასებით, გადაცემული თითო აქციის სამართლიანი ღირებულება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის 11.79 ლარი იყო. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა მესამე მხარის მიერ შეფასების ანგარიშის საფუძველზე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციებზე უფლების გადაცემა არ მომხდარა.

2022 წელს აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების მთლიანი თანხა გაუტოლდა 2,412 ლარს (2021 წ.: 1,437 ლარი).

27. კაპიტალის მართვა და ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში

მართული კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, დამატებით შეტანილი კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი, და სხვა რეზერვებისგან და არამაკონტროლებელი წილებისგან. ჯგუფს განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ▶ ჯგუფის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით აქციონერებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა,
- ▶ კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს,
- ▶ მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და აქციონერების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

2022 წელს კაპიტალის მართვის პოლიტიკაში ცვლილება არ შესულა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

27. კაპიტალის მართვა და ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში (გაგრძელება)

ცვლილება ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში:

	ნასესხები სახსრები	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	სულ
31 დეკემბერი, 2020 წ.	148,781	112,986	261,767
აღებული სესხები	71,000	–	71,000
ნასესხები სახსრების დაფარვა	(114,316)	–	(114,316)
საპროცენტო ხარჯი	10,954	13,815	24,769
გადახდილი პროცენტი	(10,280)	(12,881)	(23,161)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	(4,566)	–	(4,566)
31 დეკემბერი, 2021 წ.	101,573	113,920	215,493
აღებული სესხები	134,570	–	134,570
ნასესხები სახსრების და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა	(75,249)	(59,700)	(134,949)
საპროცენტო ხარჯი	12,681	11,046	23,727
გადახდილი პროცენტი	(11,220)	(14,188)	(25,408)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	(5,798)	–	(5,798)
31 დეკემბერი, 2022 წ.	156,557	51,078	207,635

28. რისკის მართვა

შესავალი

ჯგუფის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის რენტაბელურობისათვის და ჯგუფის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები. რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. მათი კონტროლი ხდება ჯგუფისა და მშობელი საწარმოს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესით.

დირექტორთა საბჭო

2022 და 2021 წლებში, საწარმოს და მშობელი საწარმოს დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობა იყო ევექსის შესაბამისი კომპონენტების მთლიანი რისკის პროცესის რეგულარული ზედამხედველობა და მართვა მოვალეობების გადანაწილებით, სხვადასხვა აღმასრულებელი კომიტეტების შექმნით, რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების, ასევე შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებითა და დანერგვით, შესაბამისი დეპარტამენტებისა და კომიტეტების მიერ მათი განხორციელებისა და საქმიანობის შედეგების შეფასებით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)

შესავალი (გაგრძელება)

შიდა აუდიტი

2022 და 2021 წლებში, მთელი ჯგუფის მასშტაბით რისკების მართვის პროცესებს ყოველწლიურად ამოწმებდა შიდა აუდიტის განყოფილება, რომელიც აფასებდა როგორც პროცედურების ადეკვატურობას, ისე ჯგუფის მიერ ამ პროცედურების დაცვას. შიდა აუდიტი განიხილავს შეფასებების შედეგებს ხელმძღვანელობასთან და მოახსენებს შედეგებსა და რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის მეშვეობით.

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

ჯგუფის რისკები ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც განიხილავს როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მოსალოდნელ დანაკარგს, ისე გაუთვალისწინებელ დანაკარგებს, რომელიც წარმოადგენს პროგნოზირების სხვადასხვა მოდელის საფუძველზე ნავარაუდევ რეალურ ზარალს. მეთოდი ალბათობებს იყენებს წარსულში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებიც დაკორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გასათვალისწინებლად. ჯგუფი სამ სხვადასხვა ძირითად სცენარს განიხილავს, საიდანაც ერთი არის საბაზო სცენარი (ანუ პროგნოზი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში), ხოლო დანარჩენი ორი არის პრობლემური და კრიზისული სცენარები, რომლებიც შესაბამისად წარმოადგენენ უფრო ცუდ და ყველაზე ცუდ შემთხვევებს და უკიდურესი და ნაკლებად სავარაუდო მოვლენების დადგომისას არის მოსალოდნელი. რისკების მონიტორინგი და კონტროლი უმთავრესად ხორციელდება ჯგუფის მიერ დადგენილ ლიმიტებზე დაყრდნობით. ეს ლიმიტები ასახავს ჯგუფის ბიზნეს სტრატეგიას, საბაზრო გარემოს და მისთვის მისაღებ რისკის დონეს, ამავდროულად განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება შერჩეულ დარგებზე. გარდა ამისა, ჯგუფი მონიტორინგს უწევს და აფასებს რისკის დასაშვებ დონეს რისკის ყველა ტიპისა და ღონისძიების გათვალისწინებით.

ყველა საქმიანობიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადრეული რისკების განსაზღვრა, ანალიზი და კონტროლი. ამ ინფორმაციის წარდგენა და განმარტება ხდება დირექტორთა საბჭოსთვის და თითოეული ბიზნეს განყოფილების ხელმძღვანელისთვის. ანგარიშები ასახავს აგრეგირებულ დაუფარავ მოთხოვნებსა და კრედიტებს, მათ ლიმიტებს, ამ ლიმიტებიდან გამონაკლისებს, ლიკვიდურობის კოეფიციენტებსა და ლიკვიდურობის ლიმიტებს, საბაზრო რისკის კოეფიციენტებს და მათ ლიმიტებს და ცვლილებებს რისკის პროფილში. წამყვანი ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აფასებს ლიკვიდურობის დონეების, საკრედიტო პოზიციების, მოთხოვნების პოზიციებისა და გაუფასურების რეზერვის მართებულობას. დირექტორთა საბჭო თვეში ერთხელ იღებს რისკის ამომწურავ ანგარიშს. ამ ანგარიშებში ჯგუფის რისკების შეფასებისა და მათზე დასკვნების გამოტანისთვის საჭირო სრული ინფორმაციაა წარმოდგენილი.

რისკის შემცირება

მთლიანი რისკის მართვის ფარგლებში ჯგუფი იყენებს წარმოებულ და სხვა ინსტრუმენტებს, რომ მართოს წმინდა სავალუტო პოზიციის, საპროცენტო განაკვეთებისა და საკრედიტო რისკები. ჯანდაცვის მომსახურების მიმღები ფიზიკური პირების მიმართ ჯგუფი აქტიურად იყენებს ერთობლივი ფინანსური პასუხისმგებლობის მიდგომას, რომელიც წარმოიშობა ჯანდაცვის მომსახურების გაწევისას ისეთი ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც თავად იხდიან მომსახურების ღირებულებას. ამ მიდგომის მიზანია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებს გარეთ გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მიმღები შესაბამისი დებიტორების მართვა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა მომხმარებლებმა, კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული კონტრაქტების, ასევე პროდუქტებისა და ვალუტების კონცენტრაციებისთვის, და რისკების ამ ლიმიტებთან დაცვის მონიტორინგით. გარდა ამისა, ჯგუფი აწესებს და რეგულარულად აკონტროლებს კრედიტის ვადებს დებიტორების ტიპების მიხედვით, რაც საკრედიტო რისკის მართვის პროაქტიული ხერხია.

ჯგუფმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რომ უზრუნველყოს კონტრაქტების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. ეს მოიცავს სესხის დაფარვისა და მისაღები დავალიანების ვადების სისტემატურ ანალიზს. კონტრაქტის ლიმიტების დადგენა ხდება კრედიტის პირობებთან ერთად. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ჯგუფს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი ჯგუფის მიერ იმართება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით. ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა და საკრედიტო ხარისხი აქტივის კლასის მიხედვით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საკრედიტო ხარისხი

31 დეკემბერი, 2022 წ.	შენიშვნა	ზარალის დონე	მთლიანი საბალანსო დირებუ- ლება	მოსალოდ- ნელი ზარალი	ნარჩენი საბალანსო დირებუ- ლება
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები					
30 დღემდე ვადაგადაცილებული		1.6%	20,827	332	20,495
30–61 ვადაგადაცილებული დღე		6.5%	17,732	1,148	16,584
61–90 ვადაგადაცილებული დღე		5.5%	16,550	903	15,647
90–180 ვადაგადაცილებული დღე		3.7%	9,347	349	8,998
180–ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული		51.9%	50,115	25,998	24,117
სულ ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები	6		114,571	28,730	85,841
სხვა აქტივები: გაცემული სესხები					
30 დღემდე ვადაგადაცილებული		6.4%	4,116	264	3,852
სულ გაცემული სესხები		6.4%	4,116	264	3,852

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2021 წ.	შენიშვნა	ზარალის დონე	მთლიანი საბალანსო ღირებუ- ლება	მოსალოდ- ნელი ზარალი	ნარჩენი საბალანსო ღირებუ- ლება
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები					
30 დღემდე ვადაგადაცილებული		0.4%	21,153	88	21,065
30–61 ვადაგადაცილებული დღე		3.2%	19,354	611	18,743
61–90 ვადაგადაცილებული დღე		2.1%	13,868	298	13,570
90–180 ვადაგადაცილებული დღე		2.8%	9,370	264	9,106
180–ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული		40.6%	53,002	21,511	31,491
სულ ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები	6		116,747	22,772	93,975
სხვა აქტივები: გაცემული სესხები					
30 დღემდე ვადაგადაცილებული		–	3,664	–	3,664
სულ გაცემული სესხები		–	3,664	–	3,664

2022 წელს ჯგუფმა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და სხვა მოვალეებთან მემკვიდრეობის თაობაზე დავასთან დაკავშირებით აღიარა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და ჩამოწერილი მოთხოვნები 3,012 ლარის ოდენობით და წარმოადგინა კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების ცალკე მუხლში.

გაუფასურებული სესხების შესაფასებლად ჯგუფი არ იყენებს საკრედიტო რეიტინგის სისტემას. შესაბამისად, გაუფასურების ხარჯები და რეზერვი ეყრდნობა ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას და წარსულ გამოცდილებას ვადაგადაცილებების თითოეული კატეგორიის მიხედვით.

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა თავისი კაპიტალის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის გათვალისწინებით და რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. ეს მოიცავს მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და ლიკვიდურობის საჭიროების ყოველდღიურ მონიტორინგს. ჯგუფი მართავს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას მათი უკეთესად დაბალანსებისთვის, რაც მას ეხმარება ლიკვიდურობის რისკის კიდევ უფრო შემცირებაში. ჯგუფის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი ლიკვიდურობის რისკები არის მისი ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ყოველდღიური საჭიროება მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ნასესხები სახსრების დაფარვის ვადის მოსვლის გამო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი. აქტივები და ვალდებულებები დაჯგუფებულია ვადიანობის მიხედვით, ანგარიშგების დღისთვის ხელშეკრულების ამოწურვის ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

<i>31 დეკემბერი, 2022 წ.</i>	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20,286	–	20,286
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	79,616	6,225	85,841
მარაგები	18,932	–	18,932
გადახდილი ავანსები	4,439	2,038	6,477
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები	143	–	143
ძირითადი საშუალებები	–	389,685	389,685
აქტივის გამოყენების უფლება	–	3,988	3,988
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	–	40,583	40,583
სხვა აქტივები	10,064	544	10,608
სულ აქტივები	133,480	443,063	576,543
ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	21,984	–	21,984
ვალდებულებები	14,943	–	14,943
საიჯარო ვალდებულებები	725	3,128	3,853
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები	–	389	389
ნასესხები სახსრები	57,460	99,097	156,557
გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,078	50,000	51,078
სხვა ვალდებულებები	3,028	3,012	6,040
სულ ვალდებულებები	99,218	155,626	254,844
ნეტო პოზიცია	34,262	287,437	321,699
აკუმულირებული გეპი	34,262	321,699	

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

<i>31 დეკემბერი, 2021 წ.</i>	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33,493	–	33,493
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	84,830	9,145	93,975
მარაგები	23,869	–	23,869
გადახდილი ავანსები	4,824	–	4,824
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები	423	–	423
ძირითადი საშუალებები	–	404,755	404,755
აქტივის გამოყენების უფლება	–	2,435	2,435
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	–	44,102	44,102
სხვა აქტივები	9,587	2,680	12,267
სულ აქტივები	157,026	463,117	620,143
ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	24,476	–	24,476
ვალდებულებები	33,345	–	33,345
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	164	–	164
საიჯარო ვალდებულებები	637	2,180	2,817
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები	–	389	389
ნასესხები სახსრები	56,414	45,159	101,573
გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	4,220	109,700	113,920
სხვა ვალდებულებები	1,595	3,975	5,570
სულ ვალდებულებები	120,851	161,403	282,254
ნეტო პოზიცია	36,175	301,714	337,889
აკუმულირებული გეპი	36,175	337,889	

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ლიკვიდურობის არსებული დონე საკმარისია ყველა მისი მიმდინარე ვალდებულების შესასრულებლად და დავალიანების დროულად დასაფარად. ჯგუფი ასევე აბალანსებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ვადებს და უარყოფით გეპებზე მაქსიმალურ ლიმიტს აწესებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2022 წ.	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები	14,943	–	–	–	14,943
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	21,984	–	–	–	21,984
გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,651	4,899	56,568	–	63,118
ნასესხები სახსრები	31,910	35,803	112,910	–	180,623
აქციების შესყიდვაზე გადასახდელი ანგარიშები	–	–	389	–	389
სხვა ვალდებულებები: წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	1,228	1,244	–	–	2,472
საიჯარო ვალდებულებები	207	562	2,262	1,603	4,634
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	71,923	42,508	172,129	1,603	288,163

31 დეკემბერი, 2021 წ.	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო ვალდებულებები	33,345	–	–	–	33,345
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	24,476	–	–	–	24,476
გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	–	59,700	50,000	–	109,700
ნასესხები სახსრები	8,571	47,207	46,291	–	102,069
აქციების შესყიდვაზე გადასახდელი ანგარიშები	–	–	389	–	389
საიჯარო ვალდებულებები	209	782	1,691	883	3,565
სხვა ვალდებულებები: წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	507	190	–	–	697
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	67,108	107,879	98,371	883	274,241

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად. ჯგუფს აქვს საბაზრო რისკები. ჯგუფი მისთვის მისაღები საბაზრო რისკის დონეების სტრუქტურირებას ახდენს ჯგუფის საბაზრო რისკის პოლიტიკის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ რა წარმოადგენს ჯგუფისთვის საბაზრო რისკს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე. ჯგუფს აქვს SOFR-სა (უზრუნველყოფილი ერთდღიანი დაფინანსების განაკვეთი) და სებ-ის მოკლევადიანი სესხის რეფინანსირების განაკვეთებზე მიბმული ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები და ამიტომ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი.

	31 დეკემბერი, 2022 წ.		31 დეკემბერი, 2021 წ.	
	ლარი	აშშ დოლარი	ლარი	აშშ დოლარი
ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	14.0%	3.1%	13.3%	3.1%

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის მგრძობელობა არის საპროცენტო განაკვეთის დასაშვები ცვლილების ეფექტი წლის საპროცენტო ხარჯზე. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში მგრძობელობის ანალიზს არ გამოუვლენია რამე მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენა ჯგუფის საკუთარ კაპიტალზე. მოცემული ცხრილი ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის მგრძობელობას საპროცენტო განაკვეთის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიმართ, როდესაც სხვა ცვლადები უცვლელია:

	31 დეკემბერი, 2022 წ.		31 დეკემბერი, 2021 წ.	
	ზრდა (შემცირება) საბაზისო ერთეულში	საპროცენტო ხარჯების მგრძობელობა	ზრდა (შემცირება) საბაზისო ერთეულში	საპროცენტო ხარჯების მგრძობელობა
ვალუტა				
ლარი	-2.5%	3,142	2.50%	(1,139)
აშშ დოლარი	2.23%	(689)	0.09%	(50)
ლარი	2.5%	(3,142)	-2.50%	1,139
აშშ დოლარი	-2.23%	689	-0.09%	50

სავალუტო რისკი

ჯგუფს ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა. ჯგუფის ძირითადი გარიგებები ლარში ხორციელდება და სავალუტო რისკი ძირითადად აშშ დოლართან მიმართებაში აქვს.

ჯგუფის ფინანსური აქტივები ძირითადად გამოხატულია იმავე ვალუტაში, რაშიც მისი ვალდებულებები, კერძოდ, ჯგუფის კომპანიების სამუშაო ვალუტაში – ლარში. ჯგუფის ოპერაციების უმეტესობაც ლარშია გამოხატული. ეს ამცირებს ოპერაციებთან დაკავშირებულ სავალუტო რისკს. სავალუტო რისკს ძირითადად განაპირობებს აშშ დოლარში გამოხატული ნასესხები სახსრები, რომლებიც ნაწილობრივ ჰეჯირებულია ბანკებში განთავსებული ფულადი ანაზრებით, რომლებიც ასევე აშშ დოლარშია გამოხატული და სავალუტო ფორვარდული კონტრაქტებით ჯგუფის კონტრაქტებთან. ჯგუფი ასევე ახდენს თავისი ძირითადი საშუალებებიდან გასასხვისებლად განკუთვნილი ორი მათგანის სავალუტო რისკის კომპონენტის ჰეჯირებას უცხოურ ვალუტაში გამოხატული ნასესხები სახსრების მეშვეობით (მე-3 შენიშვნა). ჰეჯირება სრულად ამოქმედდა 2022 წელს. უცხოური ვალუტის მერყეობისთვის მთლიანმა ჰეჯირებულმა თანხამ 2022 წელს შეადგინა: 1,747 ლარის ზარალი (2021 წ.: 790 ლარის ზარალი).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებშიც გამოხატულ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე ჯგუფს 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა. ანალიზი გამოითვლის ლართან მიმართებაში სავალუტო კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი მერყეობის გავლენას, როდესაც ყველა სხვა ცვლადი მუდმივია მოგებაში ან ზარალში. ცხრილში უარყოფითი თანხა ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგებაში ან ზარალში, ხოლო დადებითი თანხა ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

<i>31 დეკემბერი, 2022 წ.</i>	<i>აშშ დოლარი</i>	<i>ევრო</i>
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,721	1,249
სულ ფულადი აქტივები	1,721	1,249
ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	30,888	-
საიჯარო ვალდებულებები	3,684	-
სულ ფულადი ვალდებულებები	34,572	-
წმინდა ფულადი პოზიცია, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გათვალისწინებამდე	(32,851)	1,249
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	10,497	-
ჰეჯირების აღრიცხვის პოზიცია	11,929	-
წმინდა ფულადი პოზიცია, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით	(10,425)	1,249
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა	16.34%	29.30%
ევექტი მოგებაზე მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	(1,703)	366
სავალუტო კურსის პროცენტული შემცირება	-16.34%	-29.30%
ევექტი მოგებაზე მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	1,703	(366)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2021 წ.	აშშ დოლარი	ევრო
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9,573	1,787
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	1,922	-
სულ ფულადი აქტივები	11,495	1,787
ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	56,007	-
საიჯარო ვალდებულებები	2,817	-
სულ ფულადი ვალდებულებები	58,824	-
წმინდა ფულადი პოზიცია, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გათვალისწინებამდე	(47,329)	1,787
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	8,415	-
ჰეჯირების აღრიცხვის პოზიცია	13,678	-
წმინდა ფულადი პოზიცია, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით	(25,236)	1,787
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა	12.05%	20.64%
ეფექტი მოგებაზე მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	(3,041)	369
სავალუტო კურსის პროცენტული შემცირება	-12.05%	-20.64%
ეფექტი მოგებაზე მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	3,041	(369)

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკის სამართავად ჯგუფი იყენებს სავალუტო ფორვარდულ კონტრაქტებს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა 2.9 მილიონი აშშ დოლარის (2021 წ.: 2.4 მილიონი აშშ დოლარი) პირობითი ღირებულების სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც კონტროლის მექანიზმები ეფექტურად არ ხორციელდება, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ჯგუფი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და მათზე რეაგირებით, ჯგუფი ახერხებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურებს, თანამშრომლების განათლებისა და შეფასების პროცესებს და შიდა აუდიტის გამოყენებას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)

საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, როგორც წესი, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (იმ რისკის ჩათვლით, რომ ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას ქვეყნის გარეთ, ასევე მხედველობაშია მისაღები განუვითარებელი სასესხო და კაპიტალის ბაზრები). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ეს მოიცავს ახალი კანონმდებლობის მიღებას (ახალი საგადასახადო კოდექსის და საპროცესო კანონების ჩათვლით). დირექტორთა საბჭოს აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნეს რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს მსოფლიო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელება.

29. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. ჯგუფი შემდეგ იერარქიას იყენებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და აღრიცხვისთვის:

- ▶ დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- ▶ დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი, და
- ▶ დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან ემპირიულ საბაზრო მონაცემებს.

ქვედა ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით. მათში ასევე შესულია ჯგუფის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღრიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

29. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

	სულ სამართლიანი ღირებულება					
	დონე 1	დონე 2	დონე 3	31-დეკ-22	31-დეკ-22	აუღიარებელი შემოსულობა (ზარალი) 31-დეკ-22
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები						
სხვა ვალდებულებები:						
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-	2,426	-	2,426	2,426	-
წილის შესყიდვასთან დაკავშირებული დავალიანება: საწარმოთა შესყიდვისთვის დაკავებული თანხა	-	-	389	389	389	-
აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	20,286	-	20,286	20,286	-
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	-	-	85,841	85,841	85,841	-
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	-	-	3,852	3,852	3,852	-
ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	-	-	153,470	153,470	156,557	3,087
გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	47,941	-	47,941	51,078	3,137
საიჯარო ვალდებულებები	-	-	3,675	3,675	3,853	178

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

29. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

	<i>სულ</i>					
	<i>სამართ- ლიანი ღირებუ- ლება</i>			<i>საბალანსო ღირებუ- ლება</i>	<i>აუღიარებელი შემოსულობა (ზარალი)</i>	
	<i>დონე 1</i>	<i>დონე 2</i>	<i>დონე 3</i>	<i>31-დეკ-21</i>	<i>31-დეკ-21</i>	<i>31-დეკ-21</i>
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები						
სხვა ვალდებულებები:						
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-	669	-	669	669	-
წილის შესყიდვასთან დაკავშირებული დავალიანება:						
საწარმოთა შესყიდვისთვის დაკავებული თანხა	-	-	389	389	389	-
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	33,493	-	33,493	33,493	-
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	-	-	93,975	93,975	93,975	-
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	-	-	3,664	3,664	3,664	-
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	-	-	102,581	102,581	101,573	(1,008)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	115,185	-	115,185	113,920	(1,265)
საიჯარო ვალდებულებები	-	-	2,930	2,930	2,817	(113)

ქვემოთ აღწერილია შეფასების ხერხებით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა: ჯგუფმა გამოიყენა ის დაშვებები, რომლებსაც, ჯგუფის აზრით, დაეყრდნობიან ბაზრის მონაწილეები ინსტრუმენტის შეფასების დროს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია აქტიური ბაზრის მონაცემების გამოყენებით, მოიცავს ფორვარდულ სავალუტო კონტრაქტებს. შერჩეული შეფასების მეთოდი იყენებს დისკონტირებული ფორვარდული ფასწარმოქმნის მოდელს. მოდელი იყენებს სხვადასხვა ამოსავალ მონაცემს, მათ შორის, სავალუტო სპოტ და ფორვარდულ კურსებს.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

მიიჩნევა, რომ იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), აგრეთვე სახელმწიფოს მიმართ ყველა მოკლევადიანი მისაღები ანგარიშის საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ეხება ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებსაც.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

29. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებისა და მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის მიხედვით, ფულის ბაზრის არსებული საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის.

30. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24–ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	31 დეკემბერი, 2022 წ.		31 დეკემბერი, 2021 წ.	
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები**	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები**
აქტივები				
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	–	4,122	–	3,665
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	–	2,415	–	633
სხვა აქტივები: სხვა	134	3,987	32	4,576
	134	10,524	32	8,874
ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები*	8,179	–	17,089	–
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	500	17,715	500	18,131
სავაჭრო ვალდებულებები	–	2,628	–	12,687
სხვა ვალდებულებები: წარმოებული ფინანსური ვალდებულება	–	2,426	–	669
სხვა ვალდებულებები: სხვა	131	–	–	30
	8,810	22,769	17,589	31,517

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

	2022		2021	
	მშობელი საწარმო*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები**	მშობელი საწარმო*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები**
შემოსავალი და ხარჯები				
ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	-	6,858	-	5,813
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(34)	-	(378)
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	-	(4,336)	-	(4,858)
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება		(663)		
საპროცენტო შემოსავალი	-	545	-	380
საპროცენტო ხარჯი	(534)	(206)	(1,011)	(1,757)
უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	1,376	(1,758)	1,660	(1,017)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	86	846	-	821
	928	1,252	649	(996)

* 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლებისთვის, მშობელი საწარმო მოიცავს სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს“.

** საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები არიან საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალის“ შვილობილი საწარმოები.

2022 წელს ჯგუფმა გაყიდა ძირითადი საშუალებები და მარაგები 2,711 ლარის საბალანსო ღირებულებით (2021 წ.: 3,906 ლარი) საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებზე და აღიარა გასვლასთან დაკავშირებული 454 ლარის შემოსულობა (2021 წ.: 462 ლარი).

უმადლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	2022	2021
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება	1,836	1,297
ხელფასები და ნაღდი ფულით გაცემული პრემიები	1,744	1,460
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	3,580	2,757

31. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 17 ივლისს კომპანიამ, რებრენდინგის ინიციატივის ფარგლებში, თავისი იურიდიული სახელი სს "ევექსი ჰოსპიტლები" შეიცვალა და დაირქვა სს "ვიანი"

სს „ევექსი ჰოსპიტლები“

მმართველობითი ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

წარმომადგენლობა და დათქმა

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული კონსოლიდირებული აუდირებული ფინანსური ანგარიშგება და ამავე პერიოდით დათარიღებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია სააქციო საზოგადოება „ევექსის ჰოსპიტლების“ მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის #181/04 ბრძანების მოთხოვნების საფუძველზე.

კონსოლიდირებული აუდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით რომელიც სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს ემიტენტისა და ემიტენტის შვილობილი კომპანიების აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს.


მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს ემიტენტისა და ემიტენტის შვილობილი კომპანიების შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.

გიორგი ვასაძე

2023 წლის 10 ოქტომბერი

ფინანსური დირექტორი

სს „ევექსის ჰოსპიტლები“



ირაკლი გოგია

2023 წლის 10 ოქტომბერი

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

სს „ევექსის ჰოსპიტლები“



შინაარსი

მმართველობითი ანგარიშგება

1. საქმიანობის მიმოხილვა 1
2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება 3
3. არაფინანსური ანგარიშგება..... 4

1. საქმიანობის მიმოხილვა

შესავალი

სს „ევექსი ჰოსპიტლები“ არის 2014 წლის 1 აგვისტოს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: ა. ბელიაშვილის ქ. 142, თბილისი, საქართველო. კომპანია და შვილობილი კომპანიები ქვემოთ მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“ ან „ევექსი“. ჯგუფი სამედიცინო მომსახურებას უწევს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომხმარებლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული საავადმყოფოების ქსელის მეშვეობით.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ევექსის 100%-იანი წილის მფლობელი იყო სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების საბოლოო მშობელი კომპანია იყო ინგლისში, ლონდონში, დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება „ჯორჯია კაპიტალი“. „ჯორჯია კაპიტალის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია: ინგლისი, W1K 5EH, ლონდონი, ბრუკ სთრითი #84. „ჯორჯია კაპიტალის“ რეგისტრაციის ნომერია 10852406.

კომპანიის უმსხვილესი დებიტორი სახელმწიფოა, რომლის მიმართაც კომპანიას მოთხოვნა გააჩნია „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის“ (შემდგომში „სჯკ“) ფარგლებში. ეს პროგრამა სახელმწიფომ 2013 წელს შემოიღო და ის ფარავს საქართველოს მთელს მოსახლეობას, მათ შორის 2 მილიონზე მეტ ისეთ ადამიანს, რომლებსაც ამ პროგრამის შემოღებამდე არ ჰქონდათ ჯანმრთელობის დაზღვევა. პროგრამის დანერგვა რამდენიმე ეტაპს მოიცავდა:

- მარტი, 2013. უფასო გადაუდებელი სტაციონარული და ლიმიტირებული ამბულატორიული სერვისების შეთავაზება მოხდა იმათთვის, ვინც აქამდე არ სარგებლობდა სახელმწიფო ან კერძო სადაზღვევო სერვისებით (დაახლ. 2 მილიონი ადამიანი, მათ შორის 6 წელს ზემოთ ბავშვები და მოზარდები)
- ივლისი, 2013. სჯკ გაფართოვდა და მოიცვა ინტენსიური თერაპია, გეგმიური თერაპია, გეგმიური ქირურგია, ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობაც (მათ შორის რადიოთერაპია, ქიმიოთერაპია და ჰორმონალური თერაპია) და ასევე მშობიარობის ხარჯები;
- აპრილი 2014. ჯსკ-მ ჩაანაცვლა სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა, რომელიც ემსახურებოდა სოციალურად დაუცვენ მოქალაქეებს 2007 წლიდან;
- სექტემბერი, 2014. სჯკ-ს ჩაანაცვლა მეორე სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა (165-3 დადგენილების შესაბამისად), რომელიც ემსახურებოდა პენსიონერებს, 6 წლამდე ბავშვებსა და სტუდენტებს.

სჯკ-ს ანაზღაურების სქემა შერჩეულ სერვისებზე საქართველოში გამოიყურება შემდეგნაირად:

მომსახურება	ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ, %
გეგმიური ამბულატორიული მომსახურება	70%
ოჯახის ექიმის მომსახურება და საბაზისო ლაბორატორიული კვლევები	100%
ურგენტული სტაციონარული მომსახურება	70/100% არაუმეტეს 15,000 ლარისა
გეგმიური ქირურგია და მასთან დაკავშირებული კვლევები	70%; წლიური ლიმიტი—15,000 ლარი
ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა	80%; წლიური ლიმიტი—12,000 ლარი
მშობიარობა	500 ლარი; საკეისრო კვეთა —800 ლარი

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ჰოსპიტლები

კომპანია ჯამში ფლობს 16 ჰოსპიტალს, ჯამში 2,524 საწოლით.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან - **288,745,000ლ**

საერთო მოგება - **104,887,000ლ**

EBITDA¹ - **55,815,000ლ**

წლის ზარალი - **3,124,000ლ**

ბიზნესის სტრუქტურა

კომპანია არის ჯანდაცვის მომსახურების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი მიმწოდებელი ბაზარზე, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სწრაფად მზარდ, უპირატესად კერძო საკუთრებაში მყოფ ეკოსისტემას. ჩვენ ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია გვიჭირავს ბაზარზე შეთავაზებული სერვისების რაოდენობით, აგრეთვე სტაციონარული და ამბულატორიული სერვისების მრავალფეროვნებით. კომპანიის მიერ შეთავაზებული სერვისები გათვლილია ფართო საზოგადოებაზე.

საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები

კომპანიის შემოსავალი 2022 წლის განმავლობაში 10%-ით შემცირდა, რაც განპირობებული იყო 2022 წლის მარტში სახელმწიფოს მიერ COVID-19-ის პროგრამის გაუქმებით.

ვექსის ჰოსპიტლები ცდილობს რაც შეიძლება გააფართოვოს შემოსავლის წყაროები და, ამ გზით, შეამციროს დამოკიდებულება სჯკ-ზე. ამ მიზნით ჩვენ განვაგრძნობთ გეგმიური და შერჩევითი სერვისების რიცხვის ზრდას.

ძირითადი რისკები და გაურკვეველობები

ეს საკითხი დეტალურად არის განხილული ამავე ანგარიშის მესამე პარაგრაფში (არაფინანსური ანგარიშგება).

¹ შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

კომპანიისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე. შემოსავალი პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე განისაზღვრება, როგორც კომპანიის მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, საპროცენტო შემოსავალი, საპროცენტო ხარჯი, წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან და წმინდა არარეგულარული (ხარჯი)/შემოსავალი.

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კოდექსის პრაქტიკის მიმოხილვა

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთვის პრიორიტეტულია კორპორაციული მართვის სტანდარტების მაღალ დონეზე შენარჩუნება.

აქციონერთა საერთო კრება, რაც არის კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო და საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის დებულების თანახმად, უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები, მათ შორის, თუმცა არამარტო, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით.

- კომპანიის დებულებაში ცვლილება;
- კომპანიის რეორგანიზაცია, შერწყმა, გამოყოფა ან გადაცემა სხვა იურიდიული პირისთვის, ლიკვიდაცია;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა;
- ეთიკის კოდექსის შემუშავება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის;
- დირექტორის ანგარიშის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების სქემის შემუშავება;
- გარე აუდიტორის შერჩევა; წლიური ანგარიშების დამტკიცება;

მმართველობითი ორგანო

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ყველა მთავარი გადაწყვეტილება. ის ირჩევს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორის დანიშვნასა და მის ზედამხედველობაზე. კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ მართვაზე, გარდა იმ ფუნქციებისა, რომელიც აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციებში შედის

სამეთვალყურეო საბჭო და შესაბამისი კომიტეტები პასუხისმგებელია კომპანიის გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრასა და სწორი პრიორიტეტების დასახვაში. საბჭო ასევე პასუხისმგებელია რისკების მართვასა და მიტიგაციაზე.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება ოთხი წევრისაგან, აქედან ერთი არის დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი. ჩვენ გვჯერა, რომ საბჭოს ზომა და შემადგენლობა საუკეთესოა დადგენილი მიზნების მისაღწევად.

საბჭოს აქვს ფორმალური და გამჭვირვალე პროცესები წევრების შერჩევისა და დანიშვნის პროცესში. მიზანი არის, რომ საბჭო კარგად იყოს დაბალანსებული და იდეალურად მოერგოს ბიზნესის ინტერესებს. კომპანია მუდმივად ცდილობს, რომ აღმოფხვრას უკანონო და უსამართლო დისკრიმინაცია. დირექტორთა საბჭო მიესალმება დივერსიფიკაციას ყველა ფორმით, რომელიც ასახულია მის დივერსიფიკაციის პოლიტიკაში. დივერსიფიცირებული უნარები, ცოდნა, ეროვნება, რელიგია და სხვა ფაქტორები მხვედველობაში იქნება მიღებული ახალი დირექტორის დანიშვნის პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის დანიშვნის დროს, გადაწყვეტილება ყოველთვის კანდიდატის დამსახურების მიხედვით იქნება მიღებული.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლები და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გამოყენებული სხვადასხვა პოლიტიკები (მათ შორის, დივერსიფიკაციის პოლიტიკა) მიმოხილულია ამ დოკუმენტის არაფინანსური ანგარიშგების ნაწილში.

3. არაფინანსური ანგარიშგება

არაფინანსური საკითხები

გარემოს დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კომპანიის საქმიანობას ზეგავლენა აქვს გარემოზე და ამ საკითხს ძალიან სერიოზულად ვეკიდებით. ზუსტად ამ მიზნით მშობელ კომპანიაში არის შექმნილი გარემოს დაცვის მიმართულება რომელიც კონკრეტულად გარემოს დაცვის საკითხებზე არის ორიენტირებული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით სამედიცინო ნარჩენებია, რომელიც ყველაზე მსხვილი ნარჩენი პროდუქტია ჩვენს საქმიანობაში.

სამედიცინო ნარჩენების უტალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია საკითხია. ნარჩენების გარემოზე მავნედ ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირება შესაძლებელი პროცესების სწორად მართვით. ჩვენ ვიცავთ პოლიტიკის მიხედვით აღიარებულ ნორმებს, რომელიც ჩვენს ვებსაიტზეა გამოქვეყნებული:

<http://ghg.com.ge/uploads/files/environmentalandsocialpolicy33-52.pdf>

სამედიცინო მარაგების მართვის პროცედურები, რომელიც კომპანიაშია დანერგილი, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, რომელიც განსაზღვრავს რისკის კატეგორიებს და ადგენს შესაბამის პროცედურებს ამ რისკებთან განსამკლავებლად.

ჩვენ დავნერგეთ სამედიცინო ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემა. პერსონალი ყოველდღიურად და ყოველკვირეულად ავსებს სპეციალიზებულ ფორმებს, სადაც კონკრეტულად არის მითითებული ნარჩენის სახეობა, წონა და ტრანსპორტირების ფორმა. კომპანიაში ჩატარდა შიდა ტრენინგები ამ თემაზე, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში თანამშრომლებს შესაბამისი სერტიფიკატები დაურიგდათ.

თითოეულ კლინიკაში სპეციალიზებული ოთახებია შექმნილი, სადაც სამედიცინო ნარჩენები ინახება (არაუმეტეს 24 საათისა), სანამ მათი შენობიდან გატანა მოხდება. ზიანის შემცირების მიზნით კომპანია სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციისთვის იყენებს კონტრაქტორ კომპანიას, რომელიც ამ საკითხში არის სპეციალიზებული.

ჩვენ მუდმივად ვცდილობთ მინიმუმამდე შევამციროთ გარემოზე მავნე ზემოქმედება, რომელიც ჩვენი საქმიანობის შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს.

სოციალური და დასაქმების საკითხები

კომპანიის თითოეული წევრი საკუთარ როლს თამაშობს კომპანიის წარმატებასა და მომხმარებლისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაში. 2022 წლის საშუალო თანამშრომელთა რაოდენობა 7,919-ს გაუტოლდა.

კომპანია სტანდარტულ რეჟიმში განიხილავს ყველა დასაქმების აპლიკაციას, რომელიც შშმ პირების მიერ არის გამოგზავნილი და უზრუნველყოფს რომ მათ ჰქონდეთ კარიერული განვითარების საჭირო ყველა ბერკეტი და თანასწორ, სამართლიან გარემოში უწევდეთ მუშაობა.

ადამიანის უფლებების დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. კომპანია უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს თავისი თანამშრომლებისთვის, სადაც მათ ეპყრობიან სამართლიანად და პატივს სცემენ მათ შეხედულებებს. ეს პრაქტიკა ასევე ვრცელდება მომხმარებლებზე, მომწოდებლებზე, კონკურენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე.

ჩვენი კორპორატიული სახელმძღვანელო აწესებს პრიორიტეტებს ამ საკითხთან მიმართებაში და აგრეთვე ითვალისწინებს გარკვეულ კონტროლებს, რომელიც დანერგულია კომპანიაში, რათა სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები ყველა რგოლში დაცული იყოს. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

<http://ghg.com.ge/uploads/files/GHG%20Code%20of%20Conduct%20and%20Ethics%202017%20pdf.pdf>

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია ცდილობს ეთიკურობის ფარგლებში იმოქმედოს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კორუფციას დამანგრეველი ეფექტი აქვს როგორც, ზოგადად, ეკონომიკაზე, ისე ბისზნესსა და მის რეპუტაციაზე.

ჩვენი პოლიტიკის ნაწილია, რომ არასდროს მოვითხოვთ, შევთავაზოთ ან გადავიხადოთ ქრთამი, ან რაიმე სახით წვახალისოთ ნებისმიერი ზემოთხსენებული ქმედება.

კომპანიის კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

<http://ghg.com.ge/uploads/files/antibribery-and-anticorruption-policy-20.pdf>

დივერსიფიკაციის პოლიტიკა

კომპანია მუდმივად ცდილობს უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციის აღმოფხვრას და აფასებს განსხვავებებს, რომლებიც მრავალფეროვანმა სამუშაო ძალებმა მოუტანა ორგანიზაციას. უნარ-ჩვევების მრავალფეროვნება, გამოცდილება, ტექნიკური ექსპერტიზა, ეროვნება, ეთნიკური კუთვნილება და სქესი სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში მიიღება საბჭოში ახალი დირექტორის დანიშვნისას. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, საბჭოს ნებისმიერი დანიშვნა ყოველთვის მოხდება დამსახურების საფუძველზე. კომპანიის მიერ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის დეტალური აღწერა მოცემულია შემდეგ მისამართზე: <http://ghg.com.ge/policies>

ბიზნესმოდელის მიმოხილვა

"ევექსი ჰოსპიტლები" ქვეყნის მასშტაბით ყველაზე ფართო ჰოსპიტალური ქსელია, რომელიც საქართველოს 6 რეგიონში არის წარმოდგენილი.

2013 წელს მმართველი გუნდისა და ბიზნეს სტრატეგიის ცვლილებასთან ერთად განხორციელდა "ჩემი ოჯახის კლინიკის" დასახელების ცვლილება და კომპანიას "სამედიცინო კორპორაცია ევექსი", შემდგომში კი „ევექსი ჰოსპიტლები“ ეწოდა. ეს კი განაპირობა მმართველი გუნდისა და ბიზნეს სტრატეგიის ცვლილებამ, რაც გულისხმობს ჰოსპიტალურ ქსელში საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტებთან (JCI) მიახლოებული, პაციენტზე მორგებული სამედიცინო მომსახურების დანერგვას. სტანდარტიზაციის შედეგად საქართველოს სამედიცინო სექტორში მნიშვნელოვანი გარდატეხა განხორციელდება და თითოეული რეგიონის მოსახლეობას საშუალება ექნება მიიღოს ქსელში შემავალ კლინიკებში მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება. ევექსი ჰოსპიტლების რეფერალური საავადმყოფოები მომხმარებელს სთავაზობს კომპლექსური და სპეციალური სერვისების ფართო სპექტრს, სტაციონარულ და ამბულატორიულ სერვისებს.

საქმიანობის რისკების ანალიზი

კომპანია ოპერირებს ისეთ ბიზნესგარემოში, სადაც სხვადასხვა რისკები და გაურკვეველობები არსებობს, რომელთა უგულობელყოფამ შესაძლოა მატერიალური ეფექტი იქონიოს ბიზნესზე. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ რისკების ეფექტური მართვა და ძლიერი შიდა კონტროლების სისტემა საკვანძო რგოლია სტრატეგიული მიზნების შესრულებისათვის და ჩვენი მომხმარებლებისა და უბრალოდ სთეიქჰოლდერების ინტერესების დასაცავად.

ჩვენ გვაქვს რისკის მართვის ფორმალიზებული პოლიტიკა, რომელიც დეტალურად გაწერს პროცედურებს, ადგენს ავტორიზაციების სხვადასხვა დონეებს და თავის თავში მოიაზრებს რეპორტირებას. დირექტორთა საბჭო, კლინიკური უსაფრთხოებისა და შიდა აუდიტის კომიტეტი და ასევე კომპანიის მენეჯმენტი სრულად არის პასუხისმგებელი კომპანიის რისკების მართვასა და მიტიგაციაზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლებიც გამოვლენილი იყო დირექტორთა საბჭოს მიერ, გამოიყურება შემდეგნაირად:

- კომპანია ოპერირებს ბიზნესგარემოში, რომელიც საკმაოდ მკაცრად რეგულირდება სხვადასხვა სახის რეგულაციებითა და კანონებით. ამ რეგულაციების დარღვევა ან კანონებთან შეუსაბამობაში ყოფნა გამოიწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ჯარიმების სახით და უარყოფითი ეფექტი ექნება კომპანიის რეპუტაციაზე. ამ რისკის შემცირების მიზნით ჩვენ ვცდილობთ კონსტრუქციულ დიალოგში შევიდეთ სახელმწიფო ორგანოებთან და სადაც შესაძლებელია ვცდილობთ გარე რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებას მოსალოდნელ ცვლილებაზე საკანონმდებლო სისტემაში. კომპანიაში გაწერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლები, რათა კომპანიამ კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს. კომპანიის იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობს ყველა მატერიალური ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის გაფორმების პროცესში, ფინანსურ დეპარტამენტთან არსებული საგადასახადო აღრიცხვის განყოფილება კი მუდმივად თვალს ადევნებს ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში. კომპანიაში რეგულარულად ტარდება შიდა აუდიტი, რომელიც გამოცდილი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდის მიერ კეთდება. შედეგები განიხილება კლინიკური უსაფრთხოებისა და ხარისხის მიმართულების მიერ ყოველკვარტალურად.
- კომპანიის წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი ექიმები და სხვა პროფესიონალები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, კომპანიის განვითარება, შეთავაზებული სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. რისკს ზრდის ისიც, რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური ექიმების, მედდებისა და სხვა პროფესიონალების ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და კომპანია ბევრ რესურსსა და ენერჯიას ხარჯავს ამ მიმართულებით, რაც გამოიხატება მაღალ ბონუსებსა და სხვა სარგებელში, რომელსაც ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ.
- კომპანია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოსაგან მიღებულ შემოსავალზე. სახელმწიფომ შესაძლოა დააგვიანოს თანხების ჩარიცხვა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. შემცირებულმა ტარიფებმა და გადახდის ვადის გაზრდამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს შემოსავალსა და მომგებიანობაზე. კომპანია ამ რისკის შემცირებას ცდილობს და დაწყებული აქვს მუშაობა შემოსავლების დივერსიფიკაციასა და ამბულატორიული სერვისების რაოდენობის გაზრდაზე.
- კომპანიას აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საოპერაციო რისკი. კიბერ-თავდასხმებმა და თავდაცვის სისტემების დარღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური მონაცემების დაკარგვა გამოიწვიოს და/ან ეს ინფორმაცია მესამე პირის ხელში მოხვდეს. ამ რისკების მინიმიზაციის მიზნით, 2017 წელს, კომპანიამ დააარსა კორპორატიული უსაფრთხოების დეპარტამენტი და ის მაღალკვალიფიციური კადრებით დააკომპლექტა. 2022 წლის ბოლომდე გაწერილია სტრატეგია და სამოქმედო გეგმაც. კომპანია ასევე თანამშრომლობს კონტრაქტორ კომპანიასთან კიბერ-უსაფრთხოების საკითხებში.

მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი მართვის სისტემები და კონტროლები. კომპანიაში დანერგილია კონტროლები ფინანსური რეპორტირების პროცესზე, მათ შორის კონტროლები კონსოლიდაციის პროცესზე. ფინანსური დეპარტამენტი ყოველთვიურად ამზადებს შედეგების რეპორტს, რომელსაც იგი წარუდგენს კომპანიის მენეჯმენტს. რეპორტი მოიცავს ყოველთვიური შედეგების მიმოხილვას, ასევე შედეგების ბიუჯეტთან, ისტორიულ მონაცემებთან და შესაბამის სტრატეგიულ გეგმებთან შედარებას. ყოველი კვარტლის ბოლოს, ფინანსური დირექტორი, ფინანსურ გუნდთან ერთად მიმოხილავს ფინანსურ რეპორტირებას დაკავშირებულ შიდა კონტროლებს, მნიშვნელოვან დაკვირვებებს კი წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიყოს ორი ძირითადი არაფინანსური მაჩვენებელი:

2022 წლის მონაცემები:

- საშუალო დაყოვნება კლინიკაში: - 5,1 დღე
- საწოლთა დატვირთულობის მაჩვენებელი: - 54,3%

გამოყენებული პოლიტიკის აღწერა

კომპანიაში დანერგილია და გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკა რომელზეც ამ ანგარიშშიც იყო საუბარი. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა, რომლის მიზანია გარემოზე მავნე ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირება.

კომპანიაში დანერგილია ე.წ. მამხილებელი (whistleblowing) და ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომლის მიზანია კორუფციის რისკების მინიმუმამდე შემცირება. მამხილებელი პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომელს აქვს საშუალება ანონიმურად დასვას საკითხი ნებისმიერ ბიზნესპროცესის გამართულობასა და სამართლიანობაზე. თითოეული შემთხვევა დეტალურად განიხილება და სამეთვალყურეო საბჭოს მიხედვით, ეს პოლიტიკა ეფექტურადაა დანერგილი კომპანიაში.

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ჩვენი კორპორატიული პოლიტიკის მიხედვით ყველა თანამშრომელს უწევს სამართლიან და თანასწორ გარემოში მუშაობა და ეს პრინციპი ყველა რგოლში დაცულია.

მშობელი კომპანიის ახლადდაფუძნებული რისკის მართვის დეპარტამენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებაში მთელს კომპანიაში.

ჩვენ ასევე შევიმუშავეთ კონფლიქტების ავტორიზაციის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვაფასებთ ნებისმიერ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს კომპანიის მასშტაბით და ვებმარტებით სამეთვალყურეო საბჭოს მსგავსი საკითხების მონიტორინგსა და კონფლიქტის დაშვებადობის განსაზღვრაში.

COVID-19 და ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის მარტში სახელმწიფომ შეწყვიტა COVID-19-ის პროგრამა, რის შედეგად დაიწყო ე.წ. გარდამავალი პერიოდი, რაც დროებით უარყოფითად აისახა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე. 2023 წლის I ნახევარში კომპანიის ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები ეტაპობრივად უმჯობესდება. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გარდამავალი პერიოდი 2023 წლის ბოლომდე დასრულდება.

ფინანსური დირექტორი: გიორგი ვასაძე

გ. ვასაძე